



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან



GEORGIAN  
INSTITUTE  
OF PUBLIC AFFAIRS

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში  
ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა:  
ირლანდიური, ესტონური, ხორვატიული და სლოვენური  
მოდულების მულტიფაქტორული ანალიზი

## პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: თათია დოლიძე  
დეა მარგველაშვილი  
დავით ჰეტრიაშვილი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

## აბსტრაქტი

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი წარმოადგენს ანალიზს იმ რეგულატორული და პრაქტიკული გამოწვევებისა, რომლებიც თან ახლავს ელექტრონული სწავლების დანერგვას საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2011 წლიდან, როდესაც საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ პირველად გაჩნდა ელექტრონული სწავლების ცნება, დღემდე. ელექტრონული სწავლების კანონმდებლობამ ამ პერიოდში ელექტრონული სწავლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის მიზნით ექვსი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, რომელთაგან უახლესი 2024 წლის ივნისში განხორციელდა, თუმცა ამ საკანონმდებლო წინსვლის მიუხედავად, პრაქტიკული იმპლემენტაცია კვლავ შეზღუდულია. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა განპირობებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებისა და კონკრეტულად, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ მკაფიოდ განსაზღვრული ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების არარსებობით.

დოკუმენტი ასახავს საქართველოში ელექტრონული სწავლების განვითარების ისტორიულ დინამიკას, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ ქრილში. იგი აღწერს უნივერსიტეტების წარმატებულ ინიციატივებს და საერთაშორისო ფონდებისა ორგანიზაციების მნიშვნელოვან წვლილს ელექტრონული სწავლების განვითარებაში, დაწყებული ჯერ კიდევ საკანონმდებლო ჩარჩოსპირველადი ვერსიისშექმნის წინარე პერიოდიდან დღევანდელ დღემდე, განსაკუთრებული აქცენტით COVID-19 პანდემიის პერიოდზე. მიუხედავად ამ პროგრესისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება საკანონმდებლო დებულებებსა და პრაქტიკულ რეალობას შორის - ელექტრონული სწავლება ჯერ კიდევ არ არის სრულად ინტეგრირებული ოფიციალურ საგანმანათლებლო სისტემაში, რაც გამოიხატება სრული პროგრამების აკრედიტაციისა და ცალკეული ელექტრონული კურსებისთვის ECTS კრედიტების მინიჭების ნაკლებობაში.

ვეროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსისა და განახლებული საკანონმდებლო ბაზის ფონზე, რომლის საფუძველზეც 2024 წლის აგვისტოში ელ.სწავლების საკანონმდებლო ისტორიაში პირველად დამტკიცდა უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური სწავლების წესი, საქართველოში ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო და ეფექტური სტანდარტების შემუშავება განსაკუთრებით აქტუალურია. საქართველოს განათლების ხარისხის ეროვნულმა ცენტრმა უკვე დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით და წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი სწორედ ამ პროცესის მხარდაჭერას ისახავს მიზნად, NCEQE-სთვის რეკომენდაციების გაცემითა და დაინტერესებული მხარეებისშესაბამის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ცნობიერების ამაღლების გზით. დოკუმენტის საბოლოო მიზანია საკანონმდებლო განზრახვასა და პრაქტიკულ რეალობას შორის არსებული ხარვეზის აღმოფხვრის და შესაბამისად, ქართულ უმაღლესგანათლების სისტემაში ელექტრონული სწავლების, როგორც ტრადიციული განათლების ხარისხიანი ალტერნატივის, დამკვიდრების ხელშეწყობა.

კერძოდ, დოკუმენტი წარმოადგენს ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის მოდელების შედარებითანალიზს ოთხივეროპული ქვეყნის - ესტონეთის (HAKA), ირლანდიის (QQI), ხორვატიის (ASHE) და სლოვენის (SQAA) - მაგალითზე. ანალიზი ეფუძნება ხუთ ძირითად კრიტერიუმს: ESG-სთან შესაბამისობა, ფინანსური ხელმისაწვდომობა, საქართველოს კონტექსტთან თავსებადობა, ინსტიტუციური ავტონომიის მოქნილობა და ინკლუზიურობა. ამ მრავალფაქტორული შეფასებისშედეგად, ესტონეთის HAKA-ს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელიგამოვლენილია, როგორცყველაზე შესაფერისი საქართველოს კონტექსტისთვის. მულტიფაქტორული ანალიზის გარდა, პოლიტიკის დოკუმენტი გვთავაზობს რეკომენდაციებს

საქართველოში ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური ჩარჩოს დასადგენად, ასევე მოიცავს როგორც განხორციელების, ისე მონიტორინგისა და შეფასების გეგმას, და ადვოკატირებისა და საკომუნიკაციო სტრატეგიას.

### **პრობლემური სიტუაციის მიმოხილვის შესავალი**

2011 წელს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა ფორმალურად დაამკვიდრა ელექტრონული სწავლების ცნება, განსაზღვრა შესაბამისი ფორმატი და საგანმანათლებლო საფეხურები, რომლებზეც დაშვებულ იქნებოდა მისი განხორციელება (მუხლი 47.4 ელექტრონული სწავლება) (ლეჟავა, 2021). კერძოდ, 2011 წლის 22 თებერვლის რედაქციით „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ( № 4209) 5-პუნქტიანი #47.4-ე მუხლი განმარტავდა ელექტრონულ სწავლებას, როგორც ინტერნეტზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, რომელსაც სპეციალური მართვის სისტემის საშუალებით (LMS) უნდა უზრუნველყო სასწავლო მასალების მიწოდება, კომუნიკაცია, ტესტირება და მონიტორინგი. კანონის აღნიშნული ვერსია დასაშვებს ხდიდა ელექტრონული სწავლების როგორც სინქრონულ, ისე ასინქრონულ ფორმატს და ადგენდა, რომ ელექტრონულ პროგრამებზე ჩარიცხვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებზე. ელექტრონულ პროგრამებს, #47.4-ე მუხლის ამ პირველადი ვერსიის მიხედვით, უნდა დაეკმაყოფილებინათ ტრადიციული პროგრამების სტანდარტები და საჭიროების შემთხვევაში გაევლოთ აკრედიტაცია (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2011) (საქართველოს პარლამენტი, 2011).

2011 წლის შემდგომ „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით“ გათვალისწინებული ხსენებული მუხლი #47.4, რომელიც ელექტრონულ სწავლებას არეგულირებს, 6-ჯერ დაკორექტირდა.<sup>1</sup> უკანასკნელად ცვლილება მასში 2024 წლის ივნისში შევიდა. კანონის უახლესი, 2024 წლის სექტემბრის რედაქცია, 2011 წლის თავდაპირველ ვერსიასთან შედარებით, არის უფრო დეტალური და კომპლექსური, აყენებს უფრო მკაცრ ტექნოლოგიურ მოთხოვნებს, მეტად ორიენტირებულია სტუდენტთა უფლებების დაცვაზე, გააჩნია გავრცელების უფრო ფართო დიაპაზონი, და ითვალისწინებს მეტად დახვეწილ ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტებსა თუ მონიტორინგის მექანიზმებს (საქართველოს პარლამენტი, 2024).

კერძოდ, კანონის 2024 წლის უახლესი ვერსიის მიხედვით, ელექტრონული სწავლების ელემენტები ამჯერად დაშვებულ იქნა უმაღლესი განათლების შესამე საფეხურზეც, ხოლო ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, სამაგისტრო პროგრამების წარმართვა სრულად დისტანციურ რეჟიმშიც გახდა შესაძლებელი (პლენარული სხდომები, 2024 ). ასევე, 2011 წლის ვერსიის საპირისპიროდ ელექტრონული სწავლების ფორმატი ამჟამად მხოლოდ სინქრონულია და ორიენტირებულია ფიზიკურად ქვეყანაში მყოფ სტუდენტებზე.<sup>2</sup> აღნიშნულის გარდა, 10 პუნქტისგან შემდგარი და, შესაბამისად, გაფართოებული მუხლი 47.4 „ელექტრონული სწავლების შესახებ“ გვთავაზობს სწავლის მართვის სისტემის (LMS) უფრო დეტალურ განმარტებას, ხაზგასმულია ლიცენზირებული ტექნოლოგიის გამოყენების საჭიროება და დამატებულია გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპები. გათვალისწინებულია ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი სტუდენტების საკითხი.. მნიშვნელოვანია, რომ უახლესი კანონის თანახმად ელექტრონულად მხოლოდ თეორიული კურსების გავლაა შესაძლებელი, ხოლო პრაქტიკული კომპონენტები, როგორცაა ლაბორატორიული მეცადინეობები და სასწავლო პრაქტიკა, ისევე როგორც გამოცდები, უნდა ჩატარდეს ფიზიკურად, დაწესებულებაში. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სტუდენტებს

<sup>1</sup> (I) [საქართველოს 2011 წლის 22 თებერვლის კანონი №4209 – ვებგვერდი, 10.03.2011წ.](#); (II) [საქართველოს 2011 წლის 17 ივნისის კანონი №4792 - ვებგვერდი, 06.07.2011წ.](#); (III) [საქართველოს 2016 წლის 16 დეკემბრის კანონი №105 - ვებგვერდი, 05.01.2017წ.](#); (IV) [საქართველოს 2017 წლის 1 ივნისის კანონი №953 - ვებგვერდი, 20.06.2017წ.](#); (V) [საქართველოს 2018 წლის 20 სექტემბრის კანონი №3438 – ვებგვერდი, 05.10.2018წ.](#); (VI) [საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4298 – ვებგვერდი, 04.07.2024წ.](#)

<sup>2</sup> საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რედაქცია 05/09/2024; მუხლი 2. ტერმინთა განმარტება; უ1;

აქვთ არჩევანის თავისუფლება - მათ შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, სურთ თუ არა კურსის ელექტრონულად გავლა, რისთვისაც, კანონის მიხედვით, კურსის არაელექტრონული ალტერნატივაც უნდა იყოს ხელმისაწვდომი ადგილზე. საბოლოოდ, ყურადსაღები ჩანაწერია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა თეორიული შინაარსის მქონე ელექტრონული სწავლების კურსის დაწყებამდე მინიმუმ 60 დღით ადრე უნდა შეატყობინონ ამის შესახებ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა ცენტრმა გადაამოწმოს პროგრამის პირობების შესაბამისობა კანონთან (საქართველოს პარლამენტი, 2024).

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 2011 წლის თებერვლის და 2024 წლის ივნისის რედაქციები, შესაბამისად, ელექტრონული სწავლების ფორმალიზებისა და მოწესრიგების პირველ და უახლეს მცდელობებს წარმოადგენენ, თუმცა თითქმის ორი ათწლეული ისტორიის სამართლებრივი ჩარჩოს მიუხედავად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ელექტრონული სწავლების რეგულირება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. პრაქტიკაში, ელექტრონული სასწავლო პროგრამების ან თუნდაც ცალკეული პროგრამული კურსების განხორციელება საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისი დაკანონებიდან ათწლეულზე ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) მიერ ჯერ კიდევ არ არის დაშვებული (მელიქიძე, 2021). კერძოდ, ელექტრონული პროგრამების აკრედიტება დღეის მონაცემებით შეუძლებელია და არც აკრედიტაციის მქონე ტრადიციული პროგრამების ფარგლებში ენიჭება ცალკეულ ონლაინ კურსებს კრედიტები (კიკორია, გაჩეჩილაძე, & პატარიძე, 2019). შესაბამისად, დღემდე, ელექტრონული სწავლება განიხილება, როგორც მხოლოდ პარალელური და არა ალტერნატიული რესურსი საგანმანათლებლო პროგრამებისა თუ ცალკეული კურსების დონეზე.

### პრობლემის გადაწყვეტის წინა მცდელობების აღწერა და შეფასება

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს უმაღლეს განათლებაში ელექტრონული სწავლების ინტეგრირება მხოლოდ ექსტრაკურიკულარულად და/ან პროგრამულად დამატებით ონლაინ რესურსებზე წვდომის ფორმით ხდება ტრადიციული მეცადინეობების პარალელურად. კერძოდ, ელექტრონული სწავლების ეს კანონით დაშვებული, მაგრამ პრაქტიკაში მუზღუდული პროცესი ძირითადად წარიმართება სასწავლო მენეჯმენტის სისტემა (LMS) Moodle-ის პროგრამული პლატფორმის გამოყენებით, რომელზე წვდომაც უსდების შესაბამისი ელექტრონული სწავლების სისტემებიდან (e-learning) აქვთ (მაგ. e-learning.tsu.ge; elearning.gtu.ge; elearning.iliauni.edu.ge და სხვა) (სარიშვილი, 2016). დამატებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს (თსუ) გარდა პორტალისა e-learning.tsu.ge, აქვს ცალკე რეპოზიტორი e-courses.tsu.ge, რომელიც კონკრეტულად ელექტრონული კურსების ჰოსტინგსა და მართვაზეა ორიენტირებული. თსუ-ს პლატფორმები 2009 წელს უკვე ამოქმედდა შესაბამისად, აღნიშნული სისტემების ფუნქციონირების საწყისები ელექტრონული სწავლების შესახებ კანონმდებლობის შემოღების წინარე პერიოდს უკავშირდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) პიონერთა შორის აღმოჩნდა ელექტრონული სწავლების დანერგვის საქმეში. 1999-2002 წლებში, ტასის-ტიმპუსის პროექტის ფარგლებში, თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტზე შეიქმნა "უმაღლესი ლიბერალური განათლების ცენტრი" (International Liberal Higher Educational Centre – ilhec.ge), რომელმაც პირველად გამოიყენა ელექტრონული სწავლების მეთოდები (კიკორია, გაჩეჩილაძე, & პატარიძე, 2019). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 2008 წელს ქვეყანა ჩაერთო პროექტში "ელექტრონული სწავლება კავკასიაში". ამ პროექტის ფარგლებში შემუშავდა და დაინერგა საპილოტე ელექტრონული სასწავლო კურსები სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 20-ზე მეტ საგანმანათლებლო დაწესებულებაში (Valishvili, Genelidze, & Balanchivadze, 2020). სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, სახელმწიფოსა თუ უცხოური ფონდების მხარდაჭერით, როგორცაა GIZ, USAID, Erasmus+, ETF, World Bank, AFD და სხვა მრავალი, საქართველოში ელექტრონული სწავლების ელემენტები დროთა განმავლობაში ვითარდებოდა (გოგობია, 2013) (Dakhundaridze, 2012) (Istrate, 2019) (USAID Bureau for Europe and Eurasia, 2020) (Georgia Today, 2022) (European Commission, 2020).

აღნიშნული პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა კოვიდ-19 პანდემიის დროს, როდესაც "ფორს-მაჟორულ" ვითარებაში უმაღლეს სასწავლებლებს მიეცათ დროებითი უფლება, განხორციელებინათ სრულად ელექტრონული სწავლება. (საქართველოს განათლების, ახალგაზრდობისა და მეცნიერების სამინისტრო, 2020ა). თუმცა, ეს იყო მხოლოდ გამონაკლისი და არა რეგულარული პრაქტიკა. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ უმაღლეს სასწავლებლებს ურჩია, ეხელმძღვანელათ ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ შემუშავებული დისტანციური სწავლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებით. გარდა ამისა, საგანგებოდ შეიქმნა ელექტრონული სწავლების უზრუნველყოფის დამხმარე დოკუმენტი (საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, 2020).

პანდემიის განმვლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა ციფრულ ინსტრუმენტს დისტანციური სწავლების მხარდასაჭერად, მათ შორისაა Zoom, Microsoft Teams, Moodle და Google Classroom. სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური სახელმძღვანელოები და ვიდეო ინსტრუქციები. სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციისთვის განხორციელდა სასწავლო გეგმების ადაპტირება. ონლაინ ლექციებისა და სემინარების ჩანაწერები ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის შესაბამის პლატფორმებზე. გადაიხედა და განახლდა როგორც სწავლების მეთოდოლოგია, ისე შეფასების სისტემები. განათლების სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით, უნივერსიტეტებმა შეიმუშავეს შეფასების ახალი მექანიზმები (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2020ბ).

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 2020 წლის აგვისტოში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (NCEQE) გამოაცხადა ტენდერი საკონსულტაციო მომსახურებაზე, რომლის მიზანიც იყო დისტანციური და ჰიბრიდული სწავლების შეფასების კრიტერიუმებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება (ENQA, 2020 ). ეს ინიციატივა მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო დაწესებულებების დახმარებას, რათა მათ შეენარჩუნებინათ სწავლების ხარისხი პანდემიისას და შემდგომ პერიოდში დისტანციური და შერეული სწავლების პირობებში. აღნიშნული დოკუმენტი 2020 წლის 30 ნოემბერს ჩაბარდა ფიონა კროზიერი და ანკა გრეერის ავტორობით და იგი მოიცავს როგორც ზოგად რეკომენდაციებს, ასევე დეტალურ მითითებებს საქართველოს ავტორიზაციის ეროვნული სტანდარტების ქრილში. ამასთან, მასში მოცემულია წინასწარი სამოქმედო ნაბიჯები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საქართველოში ონლაინ და შერეული სწავლების მარეგულირებელი ნებისმიერი საკანონმდებლო აქტის თუ გადაწყვეტილების მიღებამდე (კროზიერი & გრეერი, 2020).

კოვიდ-19-ის პანდემიამ, შესაბამისად, მნიშვნელოვნად დააჩქარა ელექტრონული სწავლების მიმართულებით უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესები და გახდა კატალიზატორი რეალური ცვლილებებისთვის. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირების მიზნით შექმნილი საგანმანათლებლო გამოცდილება ჯერ კიდევ შორსაა რეალური, დაგეგმილი, მოქნილი ონლაინ ან შერეული სწავლებისგან. საქართველოში ელექტრონული სწავლება და მისი ხარისხის უზრუნველყოფა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია.

### **პრობლემის მიზეზები და შედეგები**

როგორც საქართველოში ელექტრონული სწავლების განვითარების ისტორიის მიმოხილვისა და შესაბამისი ანალიზიდან ჩანს, სახეზეა ცალსახა აცდენა პირველად კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. შექმნილია პარადოქსული სიტუაცია, როდესაც კანონმდებლობა 2011 წლიდან ითვალისწინებს ელექტრონული სწავლების შესაძლებლობას, რომელიც მის ყოველ ახალ რედაქციასთან ერთად იხვეწება, მაგრამ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) მაინც ვერ ახდენს ელექტრონული ფორმით მიღებული განათლების ან

მისი ელემენტების აღიარებას. ხარვეზის ძირითადი მიზეზი კი განსაკუთრებით მეორეული კანონმდებლობის არარსებობა ელექტრონული სწავლების ხარისხის რეგულირებისთვის და მასთან დაკავშირებული სხვა გამოწვევები: შემოფთობა იმასთან დაკავშირებით, რომ ელექტრონულმა სწავლებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს განათლების ხარისხზე; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარისი ტექნიკური ინფრასტრუქტურა და შესაბამისი გამოცდილების ნაკლებობა; აკადემიური პერსონალის არასათანადო მზაობა ონლაინ სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებისთვის; უარყოფითი მოლოდინი, რომ ელექტრონული სწავლება გაზრდის აკადემიური არაკეთილსინდისიერების რისკებს; სოციალური უთანასწორობა და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გამოწვევები; ტრადიციონალისტა წინააღმდეგობა ელექტრონული სწავლების კულტურისადმი და სხვა. (კროზიერი & გრეერი, 2020) (Nakashidze-Makharadze, Makaradze, & Gurgenidze, 2020) (Kakutia & Kokrashvili, 2023). ამ ფაქტორების ერთობლიობამ განაპირობა ის, რომ მიუხედავად უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, ელექტრონული სწავლების პრაქტიკული იმპლემენტაცია ამ პირველადი კანონით განსაზღვრული მასშტაბითა და ფორმით დღემდე ვერ განხორციელდა.

ჩამოთვლილი პუნქტები რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში და კვლავაც მიუთითებს ელექტრონული სწავლების ნაკლები მეორადი საკანონმდებლო და პრაქტიკული რეგულირების მექანიზმების შემუშავების აუცილებლობაზე. არსებობს მნიშვნელოვანი გარღვევა კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის: მიუხედავად იმისა, რომ კანონი იძლევა ელექტრონული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ვერ ახდენს შესაბამისი პროგრამების აკრედიტაციას სათანადო სტანდარტების არარსებობის გამო. არსებული გაურკვევლობა იწვევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაბნეულობას და აფერხებს მათ განვითარებას. დამაიმედებელი სიახლე არის ის, რომ მეორადი კანონმდებლობის დონეზე პირველად საქართველოს ელექტრონული სწავლების ისტორიაში პროცესი დაძრულია. კერძოდ, 2024 წლის აგვისტოს დასასრულს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა კანონში შეტანილი ზემოაღნიშნული ცვლილებების საფუძველზე გამოსცა ბრძანება № 142/ნ, რომლითაც პირველად დამტკიცდა უმაღლესი სასწავლებლებში დისტანციური სწავლების წესი (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, 2024). ამ დოკუმენტით განისაზღვრა სასწავლო სფეროების ჩამონათვალი და კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა ფარგლებშიც დაშვებულია ელექტრონული სწავლება. ასევე დადგინდა ის სფეროები, რომლებშიც შესაძლებელია სამაგისტრო პროგრამების სრულად ონლაინ რეჟიმში გავლა (საქართველოს მინისტრის ბრძანება, 2024). რეალურად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის უახლესი რედაქცია და მინისტრის ბრძანებით დადგენილი შესაბამისი წესი არის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ელექტრონული სწავლების დეტალური რეგულაციების შემუშავება, ხარისხის სტანდარტების განსაზღვრა და პრაქტიკული იმპლემენტაციის გზების დადგენა. ამ კონტექსტში დგას გადაუდებელი საჭიროება, შემუშავდეს და დაინერგოს ელექტრონული პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მკაფიო და ეფექტური სტანდარტები, და უმაღლესი სასწავლებლებსთვის დაისახოს მკაფიო სამოქმედო ჩარჩო რაც აუცილებელია საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისთვის.

### პრობლემის მნიშვნელობა/შეფასება

პანდემიის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ხარისხიან ონლაინ სწავლებაზე როგორც სტუდენტების, ისე დაწესებულებების მხრიდან, თუმცა 16 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ელექტრონული სწავლების შესახებ კანონი პირველად გაჩნდა საქართველოში და ელექტრონული სწავლების განხორციელება დღეს მაინც ან არ ხდება, ან აქვს არასისტემური და ქაოტური ხასიათი. პრობლემა მასშტაბურია, რადგან იგი სცდება ცალკეული დაწესებულებების ფარგლებს და მოითხოვს სისტემურ გადაწყვეტას ეროვნულ დონეზე; უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ყველა რგოლზე: უსდ-ები, სტუდენტები, აკადემიური პერს-

-ონალი, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები; ზღუდავს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაციას და კონკურენტუნარიანობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებები მოითხოვს უმაღლესი განათლების სისტემის სწრაფ მოდერნიზაციას და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას; კერძოდ, ასოცირების ხელშეკრულების 358-ე და 359-ე მუხლები ხაზს უსვამს საქართველოს ვალდებულებას, გააუმჯობესოს განათლების ხარისხი და ხელმისაწვდომობა, ასევე მოახდინოს უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაცია ევროპული სტანდარტების შესაბამისად (Official Journal of the European Union , 2014). ელექტრონული სწავლების განვითარება წარმოადგენს ამ ვალდებულებების შესრულების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს შემდეგი მიზეზების გამო: განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა (მუხლი 358): ელექტრონული სწავლება საშუალებას აძლევს მეტ სტუდენტს, მიუხედავად მათი გეოგრაფიული მდებარეობისა, მიიღონ ხარისხიანი განათლება; მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა (მუხლი 358): ონლაინ პლატფორმები იძლევა მოქნილ შესაძლებლობებს პროფესიული განვითარებისა და უწყვეტი განათლებისთვის; უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია (მუხლი 359): ელექტრონული სწავლების ტექნოლოგიების დანერგვა წარმოადგენს უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის მნიშვნელოვან ასპექტს. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაცია (მუხლი 359): ელექტრონული სწავლების პლატფორმები ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და სტუდენტთა ვირტუალურ მობილობას, რაც შეესაბამება ბოლონიის პროცესის პრინციპებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მოიპოვა, უმაღლესი განათლების ევროპეიზაციამ დამატებითი ღირებულებაც შეიძინა. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი საქართველოსგან კიდევ უფრო მეტად მოითხოვს განათლების სისტემის მოდერნიზაციას და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას. ელექტრონული სწავლების დანერგვა არის ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ხელმისაწვდომობის გაზრდას და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო დონეზე. ამრიგად, ელექტრონული სწავლების განვითარება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არის არა მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის გამოხატულება, არამედ სტრატეგიული ნაბიჯი ქვეყნის ევროპეიზაციის გზაზე.

აღნიშნულის გარდა, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ENQA-ს წევრობა აყენებს კონკრეტულ მოთხოვნებს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიმართ; უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) VIII სამუშაო ჯგუფის მიერ 2018 წელს შემუშავებული დოკუმენტი "ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოსაზრებები" ამ მხრივ უახლეს და ყველაზე ყოვლისმომცველ სახელმძღვანელოს წარმოადგენს (Huertas, et al., 2018). დოკუმენტის მთავარი მიზანია (I) შექმნას მყარი ჩარჩო ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG); (II) დაეხმაროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს ელექტრონული სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებაში და (III) ხელი შეუწყოს ელექტრონული სწავლების კონცეფციისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის საერთო გაგებას. მათზე დაყრდნობით ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მასშტაბით უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წევრი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები ამუშავებენ გარე შეფასების მეთოდოლოგიებს. წევრებს შორისაა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიც (NCEQE), რომელმაც საქართველოში ელექტრონული სწავლების უფლების დაკანონებასთან ერთად აქტიურად დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით და წინამდებრე პოლიტიკის დოკუმენტიც ამ პროცესში ქვეყნის ხელშეწყობის მიზანს ემსახურება. პრობლემის გადაუჭრელობა საფრთხეს უქმნის საქართველოს საერთაშორისო რეპუტაციას და ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვან ინტეგრაციას.



საქართველოში ელექტრონული სწავლების დანერგვის პროცესში მკაფიო და ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების არარსებობა წარმოქმნის მნიშვნელოვან გარდევას კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის. ეს ვითარება არა მხოლოდ ზღუდავს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესაძლებლობებს, არამედ შეუძლებელს ხდის არსებული ონლაინ სასწავლო აქტივობების ხარისხის კონტროლს. აღნიშნული პრობლემა მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციას, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციას და ასუსტებს ქართული უმაღლესი განათლების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. არსებული გაურკვევლობა ქმნის სერიოზულ დაბრკოლებებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზაზე.

3

აღსანიშნავია, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) ინფორმაციით, ელექტრონული განათლების ხარისხის სტანდარტების პროექტი უკვე შემუშავებულია და გადაგზავნილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესაფასებლად. სამინისტროს მიერ განხილვის შემდეგ, საბოლოო სამუშაო ვერსია მიეწოდება დაინტერესებულ მხარეებს, ძირითადად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საჯარო კონსულტაციებისა და უკუკავშირისთვის. ამ კონტექსტში, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი უპირველესად მიმართულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისკენ (EQE), როგორც მთავარი უწყებისკენ, რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვაზე.

დოკუმენტი მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ოპტიმალური მოდელის შემუშავებაში. გარდა ამისა, დოკუმენტი გამიზნულია საკონსულტაციო პროცესში ჩართული სხვა მნიშვნელოვანი მხარეებისთვისაც, როგორებიცაა: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობა და ადმინისტრაციის თანამშრომლები (ახორციელებენ ელექტრონულ სწავლებას და პასუხისმგებელი არიან ხარისხის შიდა უზრუნველყოფაზე), სტუდენტები (ელექტრონული სწავლების მთავარი ბენეფიციარები), აკადემიური პერსონალი (პასუხისმგებელი არიან ელექტრონული სწავლების განხორციელებაზე), დამსაქმებლები (დაინტერესებულნი არიან კვალიფიციური კადრების მომზადებით) და განათლების ექსპერტები (დაინტერესებულნი არიან დარგის განვითარებით).

პოლიტიკის დონეზე, უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში ელექტრონული სწავლების განვითარების მთავარი მიზანი ამ ეტაპისთვის გახლავთ, რომ შეიქმნას და დაინერგოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა საქართველოში, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და ადგილობრივ კონტექსტს. მოცემულ სიტუაციაში, ამოცანები, რომელთა შესრულების გზითაც შესაძლებელია მიზნის მიღწევა, გახლავთ (i.) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემუშავება, (ii.) ელექტრონული პროგრამების აკრედიტაციისა და ხარისხის მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა და (iii.) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები გაძლიერება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.

**პოლიტიკის დოკუმენტი შეისწავლის ელექტრონული სწავლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორ-**

3 აღნიშნული ინფორმაცია მიღებულია 2024 წლის სექტემბრის თვეში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან, - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს ნიკოლოზ ფარჯანაძესა და მის მოადგილე ქეთევან ინანიშვილთან, - კომუნიკაციის შედეგად.

-ისო პოლიტიკის დოკუმენტი შეისწავლის ელექტრონული სწავლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილებას და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოარჩევს მოდელს, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება როგორც ევროპულ სტანდარტებს, ისე საქართველოს კონტექსტს (პოლიტიკის დოკუმენტის დონე). აღნიშნული წარმოადგენს საბაზისო კონტრიბუციას საქართველოში ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემის შექმნისა და დანერგვის გზაზე (პოლიტიკის დონე).

**მოსალოდნელი შედეგები:**

- დამტკიცებული და მოქმედი ელექტრონული სწავლების გარე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები.
- აკრედიტებული ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამების გაზრდილი რაოდენობა.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება.

**გრძელვადიანი გავლენა:**

- საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესება.
- საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა.
- ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაფართოება.

**მულტიფაქტორული ანალიზისთვის ქვეყნების მოდელების შერჩევა და დასაბუთება**

პოლიტიკის დოკუმენტი შეისწავლის და მულტიფაქტორული ანალიზის მეშვეობით ერთმანეთს ადარებს ესტონეთის, ირლანდიის, ხორვატიისა და სლოვენის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელებს. კერძოდ, იგულისხმება შემდეგი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების გამოცდილება:

1. ირლანდიის უმაღლესი განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (QQI)
2. ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის სააგენტო (HAKA)
3. ხორვატიის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სააგენტო (ASHE)
4. სლოვენის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო (SQAA)

ესტონეთის, ირლანდიის, ხორვატიისა და სლოვენიით დაინტერესება ამ პოლიტიკის დოკუმენტში შედარებისთვის დაეფუძნა მათ განსხვავებულ, მაგრამ რელევანტურ გამოცდილებას ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის სფეროში, ასევე მათ მსგავს ზომებსა და მოსახლეობას, რაც ღირებულ გაკვეთილებს სთავაზობს საქართველოს.

**ირლანდია (მოსახლეობა: 5 მილიონი)** არის მცირე, მაგრამ მაღალინოვაციური ქვეყანა, რომელიც ცნობილია თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად განათლების სისტემის ტრანსფორმაციით (World Bank Group., 2021). მისი ზომა და მოსახლეობა ახლოსაა საქართველოსთან (მოსახლეობა 4.5 მილიონი), რაც მის გამოცდილებას განსაკუთრებით რელევანტურს ხდის, რადგან ორივე ქვეყანა, მათი მასშტაბების გათვალისწინებით, დგას მსგავსი გამოწვევების წინაშე რესურსების ოპტიმალური გამოყენებისა და გლობალურად კონკურენტუნარიანი განათლების სისტემის შექმნის თვალსაზრისით. ბოლო წლებში ირლანდიამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ციფრული განათლების განვითარებაში. COVID-19 პანდემიამ დააჩქარა ეს პროცესი, რამაც გამოიწვია ონლაინ სწავლების სწრაფი ადაპტაცია (QQI, 2020). ირლანდიის უნივერსიტეტები, მაგალითად დუბლინის ტრინიტი კოლეჯი (Trinity College Dublin, 2024) და დუბლინის უნივერსიტეტის კოლეჯი (University College Dublin, 2024), ლიდერობენ ინოვაციურ ონლაინ პროგრამებში. ირლანდიის ეროვნული სააგენტო, ხარისხისა და კვალიფიკაციების ირლანდია (QQI) კი წარმოადგენს ინოვაციური მიდგომის მაგალითს ელექტრონული და შერეული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში. აღსანიშნავია, რომ QQI-ის სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს ელექტრონული სწავლების პროგრამების სპეციფიკურად ონლაინ ან შერეული ფორმატისთვის შექმნის საჭიროებას, ნაცვლად იმი-

-სა, რომ უბრალოდ გადაკეთდეს ტრადიციული პირისპირ პროგრამები. ირლანდიის წარმატებული გამოცდილება ელექტრონული სწავლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მოდელების ინტეგრაციაში საქართველოსთვის იძლევა პრაქტიკულ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეუძლია მცირე ერს შექმნას გლობალურად კონკურენტუნარიანი განათლების სისტემა.

**ესტონეთი (მოსახლეობა: 1.3 მილიონი)** მიუხედავად მცირე ზომისა, ესტონეთი არის გლობალური ლიდერი ციფრული ტრანსფორმაციის სფეროში (Education Estonia, 2020), მისი საგანმანათლებლო სისტემა კი წარმოადგენს ეტალონს ციფრული და ელექტრონული სწავლების ინიციატივებისთვის. ესტონეთის განათლების ხარისხის სააგენტო (HAKA, ყოფილი EKKA) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული სწავლების მაღალი სტანდარტების დანერგვასა და შენარჩუნებაში, ინსტიტუციური აკრედიტაციის ზედამხედველობითა და თემატური, მათ შორის ციფრული სასწავლო გარემოს, შეფასებების ჩატარებით. სტრუქტურირებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დანერგვითა და ციფრული ინსტრუმენტების განვითარების მხარდაჭერით, ესტონეთის უსდ-ები სულ უფრო მეტად აღიარებულნი არიან თავიანთი ელექტრონული სწავლების პროგრამების სიძლიერით (HAKA, 2024). საქართველოსთვის განსაკუთრებით საინტერესოა ესტონეთის აქცენტი თანდათანობით ინკრემენტულ ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებზე (Himma-Kadakas & Kõuts-Klemm, 2023). ესტონური მოდელი ცხადყოფს, რომ წარმატებული ციფრული ტრანსფორმაცია არ გულისხმობს მასიურ ცვლილებებს, არამედ უწყვეტ, მართვად ინოვაციებს, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. ესტონეთის წარმატება შეიძლება გახდეს საქართველოსთვის გზამკვლევი ელექტრონულ სწავლებაში ტექნოლოგიების გამოყენებისთვის, განსაკუთრებით მცირე ზომის ქვეყნის კონტექსტში. ამასთან, ორივე ქვეყანას აქვს პოსტ-საბჭოთა მემკვიდრეობა, რაც მათ მსგავსი საგანმანათლებლო მოდერნიზაციის გამოწვევების წინაშე აყენებს (Froumin, Huisman, & Smolentseva, 2018). ესტონეთის ციფრული ტრანსფორმაცია აჩვენებს, თუ როგორ შეუძლიათ მცირე ქვეყნებს, რომლებიც შეზღუდულნი არიან ზომით, მაგრამ მზად არიან ტექნოლოგიების მისაღებად, გადალახონ ისტორიული და ეკონომიკური გამოწვევები მსოფლიო კლასის ციფრული ტექნოლოგიების შესაქმნელად.

**ხორვატია (მოსახლეობა: 4 მილიონი)** გვთავაზობს ფასეულ გამოცდილებას, როგორც ევროკავშირის უახლესი წევრი, რომელმაც მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო რეფორმები გაიარა. მისი ზომა და მოსახლეობა ასევე ახლოსაა საქართველოსთან, რაც მის გამოცდილებას მასშტაბის თვალსაზრისით რელევანტურს ხდის. ამას გარდა პოსტ-სოციალისტური ჩარჩოდან ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაზე გადასვლის პროცესი ასევე მსგავსია საქართველოს ტრადიციისა. ხორვატიამ ელექტრონული სწავლების სისტემატური დანერგვა უმაღლეს განათლებაში 2000-იანი წლების დასაწყისში დაიწყო (CARNET, 2024). ზაგრების უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ პროცესში, განსაკუთრებით თავისი აკადემიური კომპიუტერული ცენტრის (SRCE) და CARNET ქსელის მეშვეობით, რომელმაც ხელი შეუწყო ონლაინ სწავლების განვითარებას (Softić, 2015). დღეს, SRCE მოქმედებს როგორც ეროვნული ცენტრი ხორვატიის უმაღლეს განათლებაში ელექტრონული სწავლების იმპლემენტაციისთვის (SRCE, 2023). მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების შესახებ 2009 წლის კანონმა (შესწორებული 2013 წელს) თავდაპირველად შექმნა სამართლებრივი საფუძველი ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. 2022 წელს იგი ჩანაცვლდა ახალი კანონით, რომელიც მეტ ყურადღებას უთმობს ციფრულ ტრანსფორმაციას და ელექტრონულ სწავლებას (Eurydice Unit Croatia, 2023). ის ასახავს ხორვატიის ეროვნული აღდგენისა და მდგრადობის გეგმის (2021–2026) პრიორიტეტებს და უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროკავშირის თანამედროვე სტანდარტებთან (Eurydice, 2024). ამას გარდა არსებობს უმაღლესი განათლებასა და მეცნიერებაში ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ 2023 წლის კანონი, რომელიც უფრო კონკრეტულად ეხება აკრედიტაციისა და ხარისხის ზომებს სწავლების ყველა ფორმატისთვის, მათ შორის ელექტრონული სწავლებისთვის (Eurydice, 2024). ASHE (ხორვატიის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სააგენტო) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაში, რაც ინტეგრირებულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საერთო ჩარჩოში (ENQA, 2021). აღნიშნული საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პრაქტიკული ზომები წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას შესასწავლად.

**სლოვენია (მოსახლეობა: 2.1 მილიონი)** არის მცირე ზომის ქვეყანა, რომელმაც მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ელექტრონული სწავლებისა და ციფრული განათლების სფეროში (OECD, 2023). მისი ზომა და მოსახლეობა, როგორც დანარჩენი ქეისების შემთხვევაში, ახლოსაა საქართველოსთან და ისიც ყოფილი სოციალისტური ქვეყანაა, რომელმაც წარმატებით მოახდინა თავისი უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაცია ევროპულ სტანდარტებთან. სლოვენიის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (SQAA) გამოცდილება გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება მცირე ქვეყანამ შექმნას ეფექტური ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის სისტემა ევროპული სტანდარტების შესაბამისად (Delaney, Komljenovic, Volkova, & Solak, 2023). ევროკომისიის ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების ინდექსში (DESI) 2022 წლისთვის სლოვენია მე-11 ადგილზე იყო ევროკავშირის ქვეყნებს შორის, რაც აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს წინა წლებთან შედარებით. სლოვენია კვლავ ღიდერობს ციფრული უნარების განვითარებაში - 2022 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 62% აქვს საბაზისო ციფრული უნარები, რაც აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (ICDL, 2024). ქვეყანამ შეიმუშავა "ციფრული სლოვენია 2030" სტრატეგია, რომელიც მოიცავს განათლების სისტემის ყოვლისმომცველ ციფრულ ტრანსფორმაციას. (Republic of Slovenia; Ministry of Digital Transformation, 2023) „ციფრული სლოვენია 2030“ სტრატეგია აჩვენებს, როგორ შეიძლება ციფრული განათლების ინტეგრირება ქვეყნის გრძელვადიან განვითარების გეგმაში (Digital National Coalition, 2022). სლოვენიის გარდამავალი პერიოდის გამოცდილება და მისი სტრატეგიული მიდგომა ელექტრონული სწავლების ინტეგრაციისადმი შეიძლება იყოს ფასეული მაგალითი საქართველოსთვის, რომელიც მსგავს გზას გადის.

## **მულტიფაქტორული ანალიზისთვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და დასაბუთება**

შერჩეული ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელები ფასდება ხუთი ძირითადი კრიტერიუმის გამოყენებით. ესენია (I). ESG-სთან შესაბამისობა, (II). ფინანსური ხელმისაწვდომობა (III). საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა, (IV). ინსტიტუციური ავტონომიის მოქნილობა; (V). განათლების ინკლუზიურობა. აღნიშნული კრიტერიუმები უზრუნველყოფს, რომ საქართველოსთვის შემოთავაზებული მოდელი შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და ამავდროულად პასუხობდეს ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის უნიკალურ გამოწვევებს, განსაკუთრებით საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის გათვალისწინებით.

### ***1. ESG-სთან (ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები) შესაბამისობა***

აღნიშნული კრიტერიუმი აფასებს შემოთავაზებული ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი რამდენად შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) მიერ დადგენილ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაკუთრებით კი ENQA-ს (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია) და მისი VIII სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებზე (ESG) დაყრდნობით.

ვინაიდან საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (NCEQE) ENQA-ს წევრია, და საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია ESG სტანდარტებთან შესაბამისობა. ეს უზრუნველყოფს არა მხოლოდ ხარისხის შენარჩუნებას, არამედ ხელს უწყობს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ევროპეიზაციას.

საკვანძო კითხვა: რამდენად ითვალისწინებს მოდელი ENQA-ს (უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია) VIII სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით?

## 2. ფინანსური ხელმისაწვდომობა

ეს კრიტერიუმი აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის დანერგვისა და შენარჩუნების ფინანსურ ხელმისაწვდომობას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონკრეტული ხარჯების გამოთვლის გარეშე. სტანდარტის ფინანსური ხელმისაწვდომობა შეფასებულია ძირითადად სტანდარტის ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა ბევრ სექტორში საბიუჯეტო შეზღუდვებით, მოდელი უნდა შეიქმნას ფინანსური ტვირთის მინიმუმამდე შესამცირებლად. ციფრული ინფრასტრუქტურის დანერგვის ფინანსური შესაძლებლობა კრიტიკულია, რადგან ბევრ უსდ-ს შეიძლება არ ჰქონდეს წვდომა დიდ თანხებზე. GD

საკვანძო კითხვა: რამდენად ხელმისაწვდომია მოდელი ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური რესურსების დანერგვა-განვითარების მოთხოვნების გათვალისწინებით?

## 3. საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა

ეს კრიტერიუმი აფასებს, თუ რამდენად ადვილად შეიძლება ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის ინტეგრირება საქართველოს არსებულ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ ჩარჩოში, საკანონმდებლო ცვლილებების განსაკუთრებული საჭიროების გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ მოდელი იყოს რეალისტური, თუმცა ამავდროულად უბიძგებდეს სისტემას პროგრესისკენ.

ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მოდელი უნდა შეესაბამებოდეს: "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონს და სასურველია, ასევე, ითვალისწინებდეს არსებულ ინსტიტუციურ შესაძლებლობებს ელექტრონული სწავლების სფეროში.

საკვანძო კითხვა: რამდენად თავსებადია მოდელი საქართველოს საკანონმდებლო და ინსტიტუციონალურ კონტექსტთან?

## 4. მოქნილობა ინსტიტუციური ავტონომიისთვის

ეს კრიტერიუმი განსაზღვრავს მოდელის უნარს, საშუალება მისცეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, შეინარჩუნონ თავიანთი ავტონომია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დაცვით. ის ასევე ითვალისწინებს ინსტიტუტების მხრიდან წინააღმდეგობის აღბათობას აღქმული შეზღუდვების და მათ შიდა ოპერაციებზე გადაჭარბებული ზედამხედველობის გამო.

ინსტიტუციური ავტონომია საქართველოს უმაღლესი განათლების ძირითადი ღირებულებაა და ასევე ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მნიშვნელოვანი პრინციპი. მოდელი, რომელიც აღიქმება როგორც ზედმეტად მკაცრი ან შემზღვეველი, შეიძლება წააწყდეს წინააღმდეგობას დაწესებულებებისგან, რომლებიც იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას. შესაბამისად, ჩარჩო საკმარისად მოქნილი უნდა იყოს იმისთვის, რომ ადაპტირდეს ინდივიდუალური ინსტიტუტების საჭიროებებზე, ამავდროულად შეინარჩუნოს ზოგადი ხარისხის სტანდარტები.

საკვანძო კითხვა: რამდენად მოქნილია მოდელი უსდ-ებისთვის ინსტიტუციური ავტონომიის შეთავაზების თვალსაზრისით?

## 5. ინკლუზიურობა და განათლების ხელმისაწვდომობა

ეს კრიტერიუმი აფასებს, თუ რამდენად უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი ინკლუზიურობას და ელექტრონული სწავლების რესურსებზე მაქსიმალურ წვდომას ყველა სტუდენტისთვის, მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, გეოგრაფიული მდებარეობის და ტექნოლოგიური შეზღუდვების მიუხედავად.

ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა და ელექტრონული სწავლების რესურსებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა აუცილებელია საქართველოში საგანმანათლებლო თანასწორობის მისაღწევად. ეს ასევე მნიშვნელოვანი პრინციპია ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში. ბევრ სტუდენტს, განსაკუთრებით სოფლად ან ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში, შეიძლება შეექმნას დაბრკოლებები ციფრულ ინსტრუმენტებზე ან სანდო ინტერნეტ კავშირზე წვდომისას. მოდელი, რომელიც პრიორიტეტად ისახავს ინკლუზიურობას, დაეხმარება ამ უთანასწორობის აღმოფხვრას და ხელს შეუწყობს ეროვნული და ევროპული სოციალური და საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.

**საკვანძო კითხვა:** რამდენად ინკლუზიურია მოდელი ელექტრონული სწავლების რესურსებზე თანაბარ წვდომის უზრუნველყოფის თვალსაზრისით?

მოდელი, რომელიც ამ ხუთი კრიტერიუმის მიხედვით მულტიფაქტორული ანალიზის საფუძველზე შეირჩევა, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოში ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის წარმატებული სისტემის განსავითარებლად. მსგავსი სისტემა არა მხოლოდ დააკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, არამედ მორგებული იქნება საქართველოს კონტექსტს. იგი ხელს შეუწყობს უფრო ინკლუზიური და მდგრადი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რაც აუცილებელია საქართველოს, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის, საგანმანათლებლო სისტემის ევროპეიზაციისთვის.

### მულტიფაქტორული ანალიზისთვის შეფასების სისტემის განსაზღვრა და დასაბუთება

შეფასების სისტემა ეფუძნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (NCEQE) საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სახელმძღვანელო მიდგომებს.

#### შეფასების შკალა

შეფასების სისტემა იყენებს 4-ქულიან შკალას თითოეული კრიტერიუმისთვის:

**4 ქულა** - სრულ შესაბამისობაშია კრიტერიუმის მოთხოვნებთან

განმარტება: მოდელი სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმის ყველა ასპექტს და წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მოცემული კრიტერიუმის მიხედვით.

**3 ქულა** - მეტწილად შესაბამისობაშია კრიტერიუმის მოთხოვნებთან

განმარტება: მოდელი აკმაყოფილებს კრიტერიუმის უმეტეს, მაგრამ არა ყველა ასპექტს. არსებობს მცირე განსხვავებები, რომლებიც ადვილად ადაპტირებადია.

**2 ქულა** - ნაწილობრივ შესაბამისობაშია კრიტერიუმის მოთხოვნებთან

განმარტება: მოდელი აკმაყოფილებს კრიტერიუმის ზოგიერთ, მაგრამ არა უმეტეს ასპექტებს. არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომელთა ადაპტირებაც საჭიროებს სერიოზულ ძალისხმევას.

**1 ქულა** - არ არის შესაბამისობაში კრიტერიუმის მოთხოვნებთან

განმარტება: მოდელი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მინიმალურ მოთხოვნებსაც კი.

## თითოეული კრიტერიუმის წონა

- ESG-სთან შესაბამისობა (25%)
- ფინანსური ხელმისაწვდომობა (20%)
- საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა (25%)
- მოქნილობა ინსტიტუციური ავტონომიისთვის (15%)
- ინკლუზიურობა და განათლების ხელმისაწვდომობა (15%)

## შერჩეული ხარისხის უზრუნველყოფის მოდელების მულტიფაქტორული ანალიზი

### **(I.) ირლანდიის უმაღლესი განათლებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QCI) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შეფასება**

შერეული და სრულად ონლაინ პროგრამების პროვაიდერებისთვის კანონით გათვალისწინებული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით (QCI, 2023)

QCI-ის "შერეული და სრულად ონლაინ სასწავლო პროგრამების პროვაიდერებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო" შესაფასებლად მოცემული ხუთი კრიტერიუმის მიხედვით, ეს ანალიზი ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ შეესაბამება სტანდარტები ESG-ს (ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს), ფინანსურ ხელმისაწვდომობას, საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტს, ინსტიტუციურ ავტონომიასა და განათლების ინკლუზიურობას.

**I.ESG-სთან შესაბამისობა** (ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები) ეს კრიტერიუმი კონკრეტულად სწავლობს შესაბამისობას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მეორე ნაწილთან, რომელიც ფოკუსირებულია გარე ხარისხის უზრუნველყოფაზე (EQA).

1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება (2.1): სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს ძლიერი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების მნიშვნელობას (მაგ., პუნქტები 1.3, 2.15, 3.17), რაც ხელს უწყობს ონლაინ/შერეული პროგრამებისა და ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის (QA) პროცესების შესაბამისობას. ეს აკმაყოფილებს ESG-ის მოთხოვნებს ინსტიტუტებში შიდა QA მექანიზმების შეფასების შესახებ.
2. მიზნის შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება (2.2): სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს მკაფიო კრიტერიუმებს ონლაინ პროგრამების შემუშავებისა და მიწოდებისთვის (პუნქტები 1.2, 1.6, 2.1), რაც უზრუნველყოფს მეთოდოლოგიების ადაპტირებადობას სხვადასხვა ფორმატისთვის (შერეული/სრულად ონლაინ). ეს შეესაბამება ESG სტანდარტებს, რომლებიც ხაზს უსვამს ადაპტირებადობასა და რელევანტურობას.
3. პროცესების განხორციელება (2.3): ეფექტური განხორციელება მხარდაჭერილია ლიდერობის, მართვისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დეტალური სტრატეგიებით (პუნქტები 1.4, 3.1, 3.4), რაც უზრუნველყოფს თანმიმდევრულობას ESG-ის ფოკუსთან სტრუქტურირებულ, კოჰერენტულ პროცესებზე.
4. კოლეგიალური შეფასების ექსპერტები (2.4): არ არის მკაფიო მითითება კოლეგიალური შეფასების პროცესებზე, რამაც შეიძლება შეზღუდოს ESG სტანდარტებთან შესაბამისობა ამ სფეროში.
5. შედეგების კრიტერიუმები (2.5): აკადემიური კეთილსინდისიერების, ხელმისაწვდომობისა და შეფასების მეთოდების შესახებ კონკრეტული დებულებები (პუნქტები 2.9, 2.10, 3.19) ეხება სწავლის შედეგებს, რაც შეესაბამება ESG-ის აქცენტს საგანმანათლებლო მიღწევების შეფასების კარგად განსაზღვრულ კრიტერიუმებზე.
6. ანგარიშგება (2.6): თანმიმდევრული შეფასებებისა და უკუკავშირის მექანიზმების მოთხოვნა (პუნქტი 2.13) აკმაყოფილებს ESG სტანდარტებს შედეგების ანგარიშგების გამჭვირვალობის შესახებ.

7.საჩივრები და აპელაციები (2.7): ადმინისტრაციული პროცესების დებულებები (პუნქტი 2.8) უზრუნველყოფს დროულ რეაგირებას სტუდენტების პრობლემებზე, ESG მოთხოვნების შესაბამისად საჩივრებისა და აპელაციების განხილვის შესახებ.

## II. ფინანსური ხელმისაწვდომობა

1. ხარჯების მოდელი და რესურსების განაწილება: სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს ხარჯების მოდელისა (პუნქტი 3.2) და ადეკვატური ფინანსური ინვესტიციების (პუნქტები 3.1, 3.6) მნიშვნელობას მდგრადი ოპერაციების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ისინი კონკრეტულად არ ეხება ფინანსურ ხელმისაწვდომობას შეზღუდული ბიუჯეტის მქონე ინსტიტუტებისთვის საქართველოში და არც დეტალურ მითითებებს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემცირდეს ფინანსური ტვირთი ინსტიტუტებზე. ეს შეიძლება გამოწვევად იქცეს, განსაკუთრებით საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც ფინანსური შეზღუდვების პირობებში მუშაობენ. იდეალურ შემთხვევაში, მოდელმა უნდა უზრუნველყოს ეტაპობრივი, ინკრემენტული გაუმჯობესებები მნიშვნელოვანი საწყისი ინვესტიციების საჭიროების გარეშე.

## III. საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან შესაბამისობა

1. სამართლებრივი ვალდებულებები: სახელმძღვანელო პრინციპები ეხება სხვადასხვა სამართლებრივ და მარეგულირებელ ვალდებულებებს, როგორცაა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციასთან (GDPR) შესაბამისობა და ტრანსნაციონალური განათლების საკითხები (პუნქტი 2.7), რაც შეიძლება შეესაბამებოდეს საქართველოს განვითარებად მარეგულირებელ ჩარჩოს ელექტრონული სწავლებისთვის. თუმცა, ისინი საჭიროებს კონკრეტულად მორგებას საქართველოს სამართლებრივ მოთხოვნებზე უმაღლესი განათლების სფეროში, მათ შორის მონაცემთა კონფიდენციალურობის კანონებზე, ინტელექტუალური საკუთრების რეგულაციებსა და ინსტიტუციური აკრედიტაციის ჩარჩოებზე. მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ორიენტირებულია საერთაშორისო სტუდენტებზე (ნაწილი 6), ხოლო საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ადგილობრივ სტუდენტებს აძლევს საშუალებას ელ. პროგრამებზე ისწავლონ.
2. ლიცენზირება და აკრედიტაცია: იურისდიქციულ საკითხებზე, პროფესიულ აღიარებასა და ლიცენზირებაზე აქცენტი (პუნქტები 6.5, 6.6) საჭიროებს ადაპტაციას საქართველოს სტანდარტებთან ინსტიტუციური ლიცენზირების, კვალიფიკაციების აღიარებისა და ადგილობრივი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.
3. კულტურული და ინფრასტრუქტურული შესაბამისობა: სახელმძღვანელო პრინციპები აღიარებს ინფრასტრუქტურულ გამოწვევებს, როგორცაა ინტერნეტზე წვდომის შეზღუდვები (პუნქტი 6.6), რაც რელევანტურია საქართველოში, განსაკუთრებით სოფლად, სადაც ინტერნეტკავშირი კვლავ პრობლემას წარმოადგენს. მოდელი სთავაზობს მოქნილობას ინსტიტუტებს, რომ ადაპტირდნენ ამ კონტექსტებთან, რაც პოტენციურად თავსებადია საქართველოს საგანმანათლებლო სისტემასთან, თუმცა რეგიონული უთანასწორობების გასათვალისწინებლად კორექტირებები იქნება გადამწყვეტი.

## IV. მოქნილობა ინსტიტუციური ავტონომიისთვის

სტანდარტები მხარს უჭერს მოქნილ ინსტიტუციურ ავტონომიას შემდეგი გზებით:

- ავტონომია სტრატეგიასა და დაგეგმვაში: სახელმძღვანელო პრინციპები ხელს უწყობს ინსტიტუციურ ავტონომიას ონლაინ და შერეული სწავლების სტრატეგიების შემუშავებაში (პუნქტები 1.1, 1.3), რაც საშუალებას აძლევს ქართულ ინსტიტუტებს შეიმუშაონ ინდივიდუალური მიდგომები, რომლებიც შეესაბამება მათ მისიას, სტრუქტურასა და ოპერაციულ კონტექსტს. ეს უზრუნველყოფს, რომ ინსტიტუტები არ არიან ზედმეტად შეზღუდულნი და შეუძლიათ შეინარჩუნონ კონტროლი თავიანთ აკადემიურ შეთავაზებებზე.
- მოქნილობა რესურსების ადაპტაციაში: მოდელი საშუალებას აძლევს ინსტიტუტებს მოარგონ IT ინფრასტრუქტურა, რესურსები და ტექნოლოგიური შესაძლებლობები (პუნქტები 3.3, 3.5) მათ საჭიროებებს შეს-



-აბამისად, რაც მოქნილობას სთავაზობს ქართულ უნივერსიტეტებს, განსაკუთრებით მათ, ვისაც ტექნოლოგიური განვითარების სხვადასხვა დონე აქვთ. თუმცა, მასშტაბურობასა და ავტონომიაზე აქცენტის გათვალისწინებით, მოდელმა უნდა დაიცვას ბალანსი ხარისხის უზრუნველყოფისთვის საკმარისი სტრუქტურის უზრუნველყოფასა და ინსტიტუტებისთვის ავტონომიურობის შესაძლებლობის მიცემას შორის.

- გადაწყვეტილების მიღება პარტნიორობებზე: სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფს მკაფიო სტრუქტურებს გარე პარტნიორობების მართვისთვის (პუნქტები 5.2, 5.3), რაც ინსტიტუტებს აძლევს ავტონომიას თანამშრომლობის დამყარებაში, ამავდროულად მკაფიო პასუხისმგებლობების შენარჩუნებით. ქართულ უნივერსიტეტებს ექნებათ თავისუფლება პარტნიორობის შერჩევაში, რაც უზრუნველყოფს მოქნილობას გადაწყვეტილების მიღებაში.

## V. ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა

1. ხელმისაწვდომობა მრავალფეროვანი შემსწავლელებისთვის: სახელმძღვანელო პრინციპები უზრუნველყოფს, რომ ციფრული მასალები ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე შემსწავლელებისთვის და სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური წარმომავლობის მქონე პირებისთვის (პუნქტი 2.2). ეს შეესაბამება ინკლუზიურობის პრინციპს, რაც განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოში, სადაც ციფრული უთანასწორობის დაძლევა კვლავ გამოწვევად რჩება. მოდელის აქცენტი ინკლუზიურობაზე ხელს უნდა უწყობდეს იმის უზრუნველყოფას, რომ ყველა სტუდენტმა, მიუხედავად გეოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიკური ბარიერებისა, შეძლოს ეფექტურად მონაწილეობა.
2. ნახევარ განაკვეთზე და არატრადიციული შემსწავლელები: ნახევარ განაკვეთზე შემსწავლელების აღიარება (პუნქტი 2.4) და ასინქრონული სწავლების სტრუქტურა (პუნქტი 3.8) უზრუნველყოფს მოქნილ სასწავლო ვარიანტებს არატრადიციული სტუდენტებისთვის, მათ შორის დასაქმებულებისთვის ან ოჯახური პასუხისმგებლობების მქონე პირებისთვის. ეს მოქნილობა შეესაბამება ქართველი სტუდენტების საჭიროებებს, განსაკუთრებით სოფლად და შორეულ რეგიონებში, სადაც ინტერნეტზე წვდომა და დროის შეზღუდვები შეიძლება გავლენას ახდენდეს სწავლაზე.
3. გლობალური შემსწავლელები: მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ორიენტირებულია საერთაშორისო სტუდენტებზე (ნაწილი 6), ისინი საჭიროებს ადაპტაციას საქართველოს კანონებთან და რეგულაციებთან უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვისა და საერთაშორისო კვალიფიკაციების აღიარების შესახებ.
4. საფასურის სტრუქტურები ონლაინ შემსწავლელებისთვის: სახელმძღვანელო პრინციპები მოითხოვს გამჭვირვალე საფასურის სტრუქტურებს (პუნქტი 2.5) სრულად ონლაინ პროგრამებისთვის, რაც ეხმარება შემსწავლელებს ხარჯების გარკვევაში. თუმცა, ის სრულად არ ითვალისწინებს, თუ როგორ შეიძლება სწავლის საფასურის ან სხვა ფინანსური ბარიერების სტრუქტურირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელმისაწვდომობა დაბალშემოსავლიანი ოჯახების სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ხელმისაწვდომობა მწვავე პრობლემაა. აქცენტი ეკონომიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი სტუდენტებისთვის ხარჯების შემცირებაზე გააუმჯობესებდა მოდელის შესაბამისობას საქართველოს ფინანსურ კონტექსტთან.

## დასკვნა:

- ESG-სთან შესაბამისობა: ძლიერი შესაბამისობა, თუმცა კოლეგიალური შეფასების პროცესები შეიძლება უფრო მეტად იყოს ხაზგასმული ESG სტანდარტების სრულად დასაკმაყოფილებლად. (4ქ.)
- ფინანსური ხელმისაწვდომობა: აწესებს ხარჯების მოდულებისა და ფინანსური ინვესტიციების მაღალ სტანდარტს მდგრადი ოპერაციების უზრუნველსაყოფად. (2ქ.)
- საქართველოს სამართლებრივ კონტექსტთან შესაბამისობა: ზოგადად ადაპტირებადია, მაგრამ საჭიროა სპეციფიკური კორექტირებები ადგილობრივი კანონებისა და აკრედიტაციის პროცესებისთვის. (3ქ.)
- ინსტიტუციური ავტონომია: მაღალი მოქნილობა, რაც საშუალებას აძლევს ინსტიტუტებს შეინარჩუნონ ავტონომია სტრატეგიასა და ოპერაციებში. (4ქ.)

- ინკლუზიურობა: ძლიერი დებულებები ხელმისაწვდომობისა და მოქნილი სასწავლო მოდელებისთვის, თუმცა საქართველოში ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ეფექტური განხორციელებისთვის. საჭიროებს მეტ ფოკუსს ხელმისაწვდომობაზე ინსტიტუტებისა და სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით შეზღუდული რესურსების მქონეთათვის, რაც გადამწყვეტია საქართველოსთვის. (3ქ.)

სახელმძღვანელო პრინციპები წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის სისტემის განვითარებისთვის, თუმცა ფინანსურ ხელმისაწვდომობასა და სამართლებრივ შესაბამისობაში კორექტირებებია საჭირო ადგილობრივ კონტექსტთან სრული თავსებადობის უზრუნველსაყოფად.

## **(II.) ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის სააგენტოს (HAKA) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ანალიზი**

ელ. კურსის თვითშეფასების კრიტერიუმებისა (HAKA, 2023) და სააკრედიტაციო სახელმძღვანელო პრინციპების ციფრულად გაძლიერებული სწავლა-სწავლების ქრილში განახლებული ვერსიის (Quality Assessment Council for Higher Education of the Estonian Quality Agency for Education, 2022) საფუძველზე.

### **I. ESG-სთან (გარე ხარისხის უზრუნველყოფა) შესაბამისობა**

ეს ნაწილი აფასებს HAKA-ს სტანდარტებს ESG-ის მეორე ნაწილის თითოეული ასპექტის მიხედვით. კონკრეტული HAKA სტანდარტები მითითებულია შესაბამისობის საჩვენებლად.

#### **1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გათვალისწინება (ESG 2.1):**

- HAKA-ს სტანდარტები (7, 26, 28, 29) ხაზს უსვამს შიდა ხარისხის ზომების ინტეგრირების მნიშვნელობას. მაგალითად:
  - სტანდარტი 7 ფოკუსირდება შეფასების მკაფიო პრინციპების განსაზღვრაზე, რაც უზრუნველყოფს, რომ შიდა შეფასებები იყოს სტრუქტურირებული და შეესაბამებოდეს სწავლის მიზნებს.
  - სტანდარტი 26 ეხება შემსწავლელთა უკუკავშირის მექანიზმებს, რაც საშუალებას იძლევა მუდმივად განხორციელდეს კურსის ეფექტურობის მონიტორინგი. ეს მნიშვნელოვანია შიდა ხარისხის უზრუნველყოფისთვის.
  - სტანდარტები 28 და 29 დეტალურად აღწერს შეგროვებული უკუკავშირის გამოყენების პროცესებს უწყვეტი გაუმჯობესებისთვის. ეს უზრუნველყოფს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ზომები არ იყოს სტატიკური, არამედ პასუხობდეს შემსწავლელთა და ინსტიტუციურ საჭიროებებს.

#### **2. მიზნის შესაბამისი მეთოდოლოგიების შემუშავება (ESG 2.2):**

- HAKA მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ისეთი კურსებისა და მეთოდოლოგიების შემუშავებაზე, რომლებიც აკმაყოფილებს კონკრეტულ საგანმანათლებლო საჭიროებებს:
  - სტანდარტი 1 მოითხოვს, რომ კურსები შეესაბამებოდეს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს გამოყენებული მეთოდოლოგიების რელევანტურობას.
  - სტანდარტი 2 აღწერს, თუ როგორ უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგები კურსის შინაარსსა და მიწოდების მეთოდებს. ეს უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას კურსის მიზნებთან და შემსწავლელთა პროფილებთან.
  - სტანდარტი 3 ფოკუსირდება სწავლის შედეგებს, მასალებსა და აქტივობებს შორის თანმიმდევრულობის უზრუნველყოფაზე, რაც ქმნის საფუძველს მიზნის შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომისთვის.
  - სტანდარტი 4 საშუალებას იძლევა კურსის დიზაინი მორგებულ იქნას ინსტიტუციურ და შემსწავლელთა საჭიროებებზე, რაც ხელს უწყობს ინდივიდუალურ და ეფექტურ მიდგომას.

### 3. პროცესების განხორციელება (ESG 2.3):

- HAKA-ს სტანდარტები დეტალურად აღწერს კურსის ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველ განხორციელების პროცესებს:
  - სტანდარტი 10 ხაზს უსვამს სხვადასხვა ტექნოლოგიურ პლატფორმასთან თავსებადობას, რაც უზრუნველყოფს კურსების ეფექტურ ფუნქციონირებას მოწყობილობის ან გარემოს მიუხედავად.
  - სტანდარტი 20 მოითხოვს საფუძვლიან ტესტირებას დანერგვამდე, რაც აძლიერებს ხარისხიანი განხორციელების ვალდებულებას.
  - სტანდარტი 21 უზრუნველყოფს, რომ კურსები ოპტიმიზებული იყოს სმარტ მოწყობილობებისთვის, რაც აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას და ინარჩუნებს თანმიმდევრულ სასწავლო გამოცდილებას.

### 4. კოლეგიალური შეფასება და გარე მონიტორინგი (ESG 2.4):

- ESG 2.4-თან შესაბამისობა დგინდება HAKA-ს დებულებებით კოლეგიალური შეფასების შესახებ:
  - სტანდარტი 20 მოითხოვს, რომ კურსები განხილულ იქნას ექსპერტების მიერ შემსწავლელებისთვის შეთავაზებამდე, რაც უზრუნველყოფს გარე ვალიდაციის მექანიზმს.
  - დამატებით, სტანდარტი 28 განიხილავს პერიოდულ მიმოხილვებს, რომლებიც მოიცავს გარე უკუკავშირს. ეს უზრუნველყოფს თანმიმდევრული მონიტორინგისა და გაუმჯობესების ჩარჩოს.

### 5. შედეგების კრიტერიუმები (ESG 2.5):

- HAKA მოიცავს დეტალურ სტანდარტებს კურსის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების შესახებ:
  - სტანდარტი 7 აყალიბებს შეფასების პრინციპებს, ხაზს უსვამს სიცხადესა და გამჭვირვალობას, რაც შეესაბამება ESG-ის ფოკუსს გაზომვად და გამჭვირვალე შედეგებზე.
  - სტანდარტი 18 განსაზღვრავს შერეული სწავლების კურსების ორგანიზებას, უზრუნველყოფს რა როგორც პირისპირ, ისე ონლაინ კომპონენტების ეფექტურობის შეფასებას.
  - სტანდარტი 27 აყალიბებს მოლოდინებს შეფასებების უკუკავშირის შესახებ, რაც ხაზს უსვამს შედეგების გაზომვის მნიშვნელობას.

### 6. პერიოდული მიმოხილვა (ESG 2.6):

- HAKA მოიცავს უწყვეტი შეფასების მექანიზმებს:
  - სტანდარტები 28 და 29 ხაზს უსვამს უკუკავშირის სისტემატურად შეგროვების, ანალიზისა და მასზე რეაგირების მნიშვნელობას. ეს უზრუნველყოფს კურსების რეგულარულ განახლებას შემსწავლელთა და ინსტიტუციური შენატანის საფუძველზე.
  - ეს სტანდარტები შეესაბამება ESG-ის აქცენტს მონაცემების გამოყენებაზე გაუმჯობესების ინფორმირებისთვის, რაც უზრუნველყოფს კურსების მუდმივ განახლებას ახალი შეხედულებებისა და ტექნოლოგიების ასახვის მიზნით.

### 7. საჩივრისა და აპელაციის პროცედურები (ESG 2.7):

- მიუხედავად იმისა, რომ HAKA არ ახსენებს ცალსახად ფორმალურ საჩივრისა და აპელაციის პროცედურებს, ის ხაზს უსვამს მხარდაჭერის სისტემებს:
  - სტანდარტი 23 უზრუნველყოფს ტექნიკური, ორგანიზაციული და პედაგოგიური მხარდაჭერის ჩარჩოს. ეს უზრუნველყოფს, რომ შემსწავლელებს ჰქონდეთ საკითხების წამოჭრისა და დახმარების მიღების არხები. ეს არაპირდაპირი მიდგომა შეესაბამება ESG-ის მიზანს, უზრუნველყოს შემსწავლელი პრობლემების გამოსატყვისა და გადაწყვეტის გზებით.

## II: ფინანსური ხელმისაწვდომობა და მხარდაჭერა

HAKA უზრუნველყოფს, რომ ელექტრონული სწავლება რჩება ფინანსურად ხელმისაწვდომი:

- სტანდარტი 19 განსაზღვრავს, რომ არ უნდა იყოს საჭირო დამატებითი ფასიანი პროგრამული უზრუნველყოფა. ეს ამცირებს ფინანსურ ბარიერებს შემსწავლელებისთვის და შეესაბამება ფართო ინკლუზიურობის მიზნებს.
- ეს სტანდარტი მხარს უჭერს პრინციპს, რომ ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაფარული

ხარჯების გარეშე, რაც განსაკუთრებით რელევანტურია საქართველოს კონტექსტში.

- სტანდარტის მიხედვით, უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური რესურსების განაწილება მისივე განვითარების გეგმიდან უნდა მომდინარეობდეს. ციფრული ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი და განვითარება მიზანმიმართული და ეკონომიკურად გამართლებული უნდა იყოს. რეგულარულად უნდა ხდებოდეს ინფრასტრუქტურის ანალიზი (მათ შორის, ქსელი, ციფრული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა და სერვისები, IT სისტემები, მომხმარებლის მხარდაჭერა, ციფრული უსაფრთხოება და ა.შ.) სტუდენტების, ადმინისტრაციის და უსდ-ის პერსონალის სხვა წევრების საჭიროებების გათვალისწინებით.

### III. საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა

HAKA სტანდარტებში არსებული მოქნილობა იძლევა სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამართლებრივ კონტექსტთან ადაპტაციის შესაძლებლობებს:

- სტანდარტი 4 უზრუნველყოფს სახელმძღვანელო პრინციპებს კურსების შემუშავებისთვის ინსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად. ეს უზრუნველყოფს, რომ სტანდარტები შეიძლება მორგებულ იქნას კონკრეტულ ქართულ რეგულაციებსა და ინსტიტუციურ პოლიტიკაზე.
- სტანდარტი 6 იძლევა დროის მართვის სხვადასხვა სტრუქტურის საშუალებას. ეს უნივერსიტეტებს სთავაზობს მოქნილობას კურსების ადგილობრივ ნორმებთან და აკადემიურ კალენდრებთან შესაბამისობისთვის, რაც მნიშვნელოვანია ქართულ სისტემაში ინტეგრაციისთვის.

### IV. ინსტიტუციური ავტონომია

HAKA მხარს უჭერს ინსტიტუციურ ავტონომიას იმიტომ, რომ სთავაზობს სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც შეიძლება ადაპტირებულ იქნას, მკაცრი შაბლონების დაწესების ნაცვლად:

- სტანდარტები 5 და 9 ინსტიტუტებს აძლევს თავისუფლებას დააწესონ წინაპირობები და მართონ სასწავლო აქტივობების თანმიმდევრობა. ეს უზრუნველყოფს კურსების შესაბამისობას ინსტიტუციურ მიზნებთან და შესაძლებლობებთან.
- სტანდარტი 6 ფოკუსირდება მოქმედ დროის მართვაზე, რაც აძლიერებს ავტონომიას. ეს საშუალებას აძლევს ინსტიტუტებს მოაწყონ კურსები მათი რესურსებისა და სტუდენტთა საჭიროებების შესაბამისად.

### V: საგანმანათლებლო ინკლუზიურობა

HAKA სტანდარტები ხაზს უსვამს ინკლუზიურობას შემდეგი გზებით:

- სტანდარტი 1 უზრუნველყოფს, რომ კურსები შემუშავდეს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებით, მათ შორის განსხვავებული წარმომავლობის, უნარებისა და სწავლის პრეფერენციების მქონე პირებისთვის.
- სტანდარტი 13 ხაზს უსვამს სხვადასხვა მედია ფორმატის (მაგ., ტექსტი, აუდიო, ვიზუალური) გამოყენებას სწავლის სხვადასხვა სტილის მოსარგებად, რაც ხელს უწყობს უფრო ინკლუზიური გარემოს შექმნას.
- სტანდარტი 21 უზრუნველყოფს, რომ კურსები ხელმისაწვდომი იყოს სმარტ მოწყობილობების საშუალებით. ეს საშუალებას აძლევს შემსწავლელებს, რომლებიც ეყრდნობიან მობილურ ტექნოლოგიებს, სრულად მიიღონ მონაწილეობა.
- სტანდარტი 25 ხელს უწყობს თანატოლებს შორის კომუნიკაციასა და კოლაბორაციულ სწავლას. ეს ქმნის საზოგადოებისა და ინკლუზიის განცდას, რაც მნიშვნელოვანია მხარდაჭერი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

### დასკვნა:

- ESG შესაბამისობა: ძლიერი შესაბამისობა ESG-ის მეორე ნაწილთან, განსაკუთრებით მეთოდოლოგიების შემუშავების (ESG 2.2), განხორციელების პროცესების (ESG 2.3) და შედეგების კრიტერიუმების (ESG 2.5) მხრივ. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კოლეგიალური შეფასება და გარე მონიტორინგი (ESG 2.4) ადეკვატურადაა გათვალისწინებული. სრული შესაბამისობისთვის სტანდარტები შეიძლება გაუმჯობესდეს ფორმალური საჩ-

-ივრისა და აპელაციის პროცედურებზე (ESG 2.7) უფრო მკაფიო აქცენტით (3 ქულა)

- ფინანსური ხელმისაწვდომობა: HAKA ავლენს ძლიერ ვალდებულებას ფინანსური ხელმისაწვდომობის მიმართ, რაც დემონსტრირებულია სტანდარტით 19. ეს ამცირებს ფინანსურ ბარიერებს იმის უზრუნველყოფით, რომ არ არის საჭირო დამატებითი ფასიანი პროგრამული უზრუნველყოფა. ეს კარგად შეესაბამება ქართული ინსტიტუტებისა და შემსწავლელების საჭიროებებს და ხელს უწყობს ინკლუზიურობას. ასევე, უნივერსიტეტები თავად საზღვრავენ ინფრასტრუქტურის საჭიროებებს თავიანთი მიზნებიდან გამომდინარე (4 ქ)
- საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ კონტექსტთან შესაბამისობა: HAKA სტანდარტები გვთავაზობს მოქნილობას, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ადაპტირება ქართულ რეგულაციებთან და ინსტიტუციურ პოლიტიკასთან. ისეთი სტანდარტები, როგორცაა 4 და 6, საშუალებას იძლევა კურსის დიზაინისა და დროის მართვის სტრუქტურების მორგებისთვის, რაც უზრუნველყოფს თავსებადობას ადგილობრივ სამართლებრივ და საგანმანათლებლო ჩარჩოსთან. (4 ქ.)
- მოქნილობა ინსტიტუციური ავტონომიისთვის: უზრუნველყოფილია მაღალი მოქნილობა, რაც საშუალებას აძლევს ინსტიტუტებს შეინარჩუნონ ავტონომია კურსის დიზაინსა და განხორციელებაზე. სტანდარტები 5 და 9 მხარს უჭერს ინსტიტუტებს წინაპირობების დაწესებასა და კურსის თანმიმდევრობის მართვაში მათი სტრატეგიების შესაბამისად, რაც კარგად შეესაბამება ავტონომიის პრინციპს. (4 ქ.)
- ინკლუზიურობა და განათლების ხელმისაწვდომობა: HAKA მოიცავს ძლიერ დებულებებს ინკლუზიურობისთვის, ეხება რა სწავლის მრავალფეროვან საჭიროებებს სხვადასხვა მედია ფორმატის (სტანდარტი 13) და სმარტ მოწყობილობებთან თავსებადობის (სტანდარტი 21) საშუალებით. (3 ქ.)

### ***(III.) ხორვატიის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სააგენტოს (ASHE) ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების ანალიზი***

*ხორვატიის მეცნიერების, უმაღლესი განათლებისა და ტექნოლოგიური განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ 2016 წლის 6 აპრილს მიღებულ დოკუმენტს სახელწოდებით "ონლაინ სწავლების პროგრამების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები" ("Kriterije i postupke za vrednovanje online studija") მიხედვით (Nacionalno vijeće za znanost, visoko obrazovanje i tehnološki razvoj, 2016).*

#### **I. ESG-თან შესაბამისობა (გარე ხარისხის უზრუნველყოფა)**

ხორვატიული ჩარჩო მჭიდროდ შეესაბამება ESG-ის მეორე ნაწილს:

1. **შიდა ხარისხის უზრუნველყოფა (ESG 2.1):** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (HEIs) ვალდებულნი არიან შექმნან მყარი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, რომლებსაც რეგულარულად შეაფასებს მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სააგენტო (ASHE).
2. **მიზნისთვის შესაფერისი მეთოდოლოგიები (ESG 2.2):** აუცილებელია ონლაინ პროგრამების მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბება და სწავლის შედეგების ეკვივალენტურობის უზრუნველყოფა ტრადიციულ პროგრამებთან.
3. **პროცესების განხორციელება (ESG 2.3):** სავალდებულოა უსაფრთხო ვირტუალური სასწავლო გარემოს და სტაბილური საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის არსებობა.
4. **კოლეგიალური შეფასება და გარე მონიტორინგი (ESG 2.4):** ASHE უზრუნველყოფს რეგულარულ გარე შეფასებას.
5. **შედეგების კრიტერიუმები (ESG 2.5):** ონლაინ პროგრამების სწავლის შედეგები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, შეფასებული და გაანალიზებული.
6. **პერიოდული მიმოხილვა (ESG 2.6):** აუცილებელია ონლაინ სასწავლო პროგრამებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის პერიოდული შეფასება.
7. **საჩივრისა და აპელაციის პროცედურები (ESG 2.7):** ხაზგასმულია ონლაინ სტუდენტებისთვის მყარი მხარდაჭერის სისტემების აუცილებლობა.

## II: ფინანსური ხელმისაწვდომობა და მხარდაჭერა

ხორვატიული ჩარჩო ფოკუსირდება ინსტიტუციურ ფინანსურ მდგრადობაზე ონლაინ სწავლებისთვის:

- ხუთწლიანი ფინანსური გეგმა:** სავალდებულოა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და განახლებისთვის ხუთწლიანი ფინანსური გეგმის შემუშავება.
- რესურსების უზრუნველყოფა:** დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ აუცილებელი რესურსები სტაბილური და მაღალი ხარისხის ონლაინ სასწავლო გარემოს შესაქმნელად.
- ტექნოლოგიური მხარდაჭერა:** ხაზგასმულია ტექნოლოგიური მხარდაჭერისთვის ფინანსური დაგეგმვის მნიშვნელობა.

## III: საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა

ხორვატიული მიდგომა პოტენციურად თავსებადია ქართულ რეალობასთან:

- ადაპტაციის საჭიროება:** საქართველოს დასჭირდება ამ ჩარჩოს მისადაგება საკუთარ სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოსთან.
- სტუდენტების სტატუსი:** ხორვატიაში ონლაინ სტუდენტებს აქვთ არაორდინალური "არასრული დატვირთვის სტუდენტი" სტატუსი, რაც შეიძლება საჭიროებდეს მოდიფიკაციას საქართველოს აკრედიტაციის ნორმებთან და სტუდენტთა კლასიფიკაციასთან შესაბამისობისთვის.

## IV. ინსტიტუციური ავტონომია

ხორვატიული ჩარჩო ხელს უწყობს ინსტიტუციურ ავტონომიას ონლაინ სწავლების კონტექსტში:

- პროგრამების შემუშავების თავისუფლება:** დაწესებულებებს ენიჭებათ მნიშვნელოვანი თავისუფლება ონლაინ პროგრამების შემუშავებასა და მიწოდებაში.
- ტექნოლოგიური არჩევანი:** დაწესებულებებს შეუძლიათ თავად განსაზღვრონ ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, სასწავლო გარემო და მხარდაჭერის სისტემები.
- ინოვაციის შესაძლებლობა:** ავტონომია საშუალებას აძლევს დაწესებულებებს იყვნენ ნოვატორულები, ამავდროულად აკადემიური ხარისხის შენარჩუნებით.
- სტანდარტებთან შესაბამისობა:** ავტონომია ბალანსდება ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებთან შესაბამისობის მოთხოვნით.

საქართველოსთვის მსგავსი მოდელის მიღებამ შეიძლება წახალისოს ინოვაციური ონლაინ საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, დაწესებულებებს მისცემს საშუალებას მოარგონ თავიანთი შეთავაზებები კონკრეტულ საჭიროებებს.

## V: საგანმანათლებლო ინკლუზიურობა

ხორვატიული ჩარჩო ხაზს უსვამს ინკლუზიურობის მნიშვნელობას ონლაინ განათლებაში:

- ბარიერების დაძლევა:** დაწესებულებებს მოეთხოვებათ გადალახონ ბარიერები სტუდენტების ჩართულობისთვის ონლაინ პროგრამებში.
- მრავალმხრივი მხარდაჭერა:** აუცილებელია ტექნიკური, აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
- იზოლაციის პრევენცია:** მიზნად ისახავს ონლაინ სტუდენტების იზოლაციისა და გამოცხადების დაბალი მაჩვენებლის პრევენციას.
- მოქნილი წვდომა:** უზრუნველყოფს სწავლის დროის, ადგილისა და ტემპის მოქნილობას.
- სპეციალური საჭიროებების გათვალისწინება:** მოითხოვს სპეციალური საჭიროებების მქონე მომხმარებლების მხარდაჭერას (ალტერნატიული ფორმატის შინაარსი).

საქართველოს კონტექსტში, სადაც ციფრულ რესურსებზე წვდომის უთანასწორობა შეიძლება გამოწვევას წარმოადგენდეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონლაინ პროგრამების ინკლუზიურობის უზრუნველყოფა, შესაბამისი მხარდაჭერით სხვადასხვა წარმომავლობისა და ტექნოლოგიაზე განსხვავებული წვდომის მქონე სტუ-

**დასკვნა:**

- ESG-სთან შესაბამისობა: ხორვატიული ჩარჩო ავლენს მჭიდრო შესაბამისობას ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან, თუმცა უშუალოდ არ მიუთითებს ESG-ზე. ის მოიცავს შიდა ხარისხის უზრუნველყოფას, მიზნობრივ მეთოდოლოგიებს, პროცესების დანერგვას, პერიოდულ გადახედვასა და სტუდენტთა მხარდაჭერას. თუმცა, ნაკლებად ეხება ფორმალურ საჩივრისა და გასაჩივრების პროცედურებს. (3 ქ.)
- ფინანსური ხელმისაწვდომობა: ხორვატიული ჩარჩო მოითხოვს ხუთწლიან ფინანსურ გეგმას საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის შენარჩუნებისა და განახლებისთვის, რაც აწევს ონლაინ სასწავლო გარემოს მაღალ და შესაბამისად, მაღალხარჯიან სტანდარტს, თუმცა მეორე მხრივ, ამ გზით უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას. (2 ქ.)
- სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან შესაბამისობა: ხორვატიული ჩარჩო იძლევა მოქნილობას პროგრამების ადაპტირებისთვის, თუმცა განსაზღვრავს, რომ ონლაინ სტუდენტებს მხოლოდ "არასრული დატვირთვის სტუდენტის" (izvanredni studenti) სტატუსი აქვთ. ეს შესაძლოა საჭიროებდეს მისადაგებას საქართველოს კონტექსტში. (2 ქ.)
- ინსტიტუციური ავტონომია: ხორვატიული ჩარჩო უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ავტონომიას დაწესებულებებისთვის ონლაინ პროგრამების შემუშავებასა და მიწოდებაში, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, სასწავლო გარემოსა და მხარდაჭერის სისტემების არჩევანში. ეს ბალანსდება ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან შესაბამისობის მოთხოვნით. (4 ქ.)
- საგანმანათლებლო ინკლუზიურობა: ხორვატიული ჩარჩო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ინკლუზიურობაზე. ის მოითხოვს სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერას, იზოლაციისა და სწავლის მიტოვების პრევენციას, ასევე სწავლის დროის, ადგილისა და ტემპის მოქნილობას. გარდა ამისა, ითვალისწინებს ვირტუალურ მობილობასა და დაწესებულებებს შორის თანამშრომლობას. (4 ქ.)

***(IV.) სლოვენის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (SQAA) ელექტორული სწავლების უზრუნველყოფის სტანდარტების ანალიზი***

„ჰიბრიდული მიდგომის სახელმძღვანელოები უმაღლეს განათლებაში“ არის დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია სლოვენის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (SQAA) საბჭოს მიერ.

**I. ESG-ის შესაბამისობა (გარე ხარისხის უზრუნველყოფა - EQA)**

**1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფა (ESG 2.1):**

დოკუმენტი ხაზს უსვამს თვითშეფასებას, როგორც სასწავლო პროგრამების ცვლილებისა და განახლების წყაროს. მოითხოვს, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა შეფასდეს სასწავლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შეფასების ფარგლებში. ჰიბრიდული სწავლების თვითშეფასება მკაფიოდ უნდა იყოს დაგეგმილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის სახელმძღვანელოში.

**2. მიზნობრივი მეთოდოლოგიების შემუშავება (ESG 2.2):**

სახელმძღვანელო პრინციპები ხაზს უსვამს, რომ ჰიბრიდული სწავლების პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო ერთეულების იმავე ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ თანმიმდევრობას, რაც ტრადიციულ სწავლებაში. შეფასება ფოკუსირებულია ახალი მეთოდების შემოღებაზე, შესაბამისი ICT და ვებ-ბაზირებული გადაწყვეტილებების გამოყენებაზე და რელევანტური ციფრული კომპეტენციების უზრუნველყოფაზე. დოკუმენტი ხაზს უსვამს ჰიბრიდული განხორციელების დასაბუთებისა და შესაბამისობის შეფასების საჭიროებას დისციპლინასთან, სწავლების ციკლთან და სასწავლო პროგრამის ტიპთან მიმართებაში. დოკუმენტი ასევე აღნიშნ-

-ავს ICT-ისა და ონლაინ ინსტრუმენტების მოქნილი და გააზრებული დაგეგმვის მნიშვნელობას, სასწავლო გარემოს, მონაწილეების, დისციპლინის, სიტუაციისა და რესურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.

### **3. პროცესების განხორციელება (ESG 2.3):**

სტანდარტები ფოკუსირებულია ჰიბრიდული სწავლების მკაფიო დაგეგმვასა და რეალურ განხორციელებაზე. ისინი აფასებენ მოქნილობის ხარისხს და პერსონალის კვალიფიკაციას სწავლების ახალი მეთოდისთვის. სტანდარტი იძლევა დეტალურ სახელმძღვანელო პრინციპებს ჰიბრიდული სწავლების განსახორციელებლად საჭირო აპარატურის, პროგრამული უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილებების არქიტექტურის შესახებ.

### **4. ექსპერტთა კოლეგიალური შეფასება (ESG 2.4):**

დოკუმენტი ახსენებს, რომ ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ხარისხს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, რაც გულისხმობს შეფასების პროცესში კოლეგიალური შეფასების გამოყენებას.

### **5. შედეგების კრიტერიუმები (ESG 2.5):**

სტანდარტები ხაზს უსვამს სწავლის თანმიმდევრობისა და კომპეტენციების თანაბარი მიწოდების უზრუნველყოფას ჰიბრიდულ სწავლებაში. ისინი მოითხოვენ ცალკეული სტუდენტების პროგრესის რეგულარულ მონიტორინგს და მათი როლებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერებას.

### **6. ანგარიშგება (ESG 2.6):**

დოკუმენტი პირდაპირ არ ახსენებს ანგარიშგების პროცედურებს, თუმცა ხაზს უსვამს სწავლის ყოვლისმომცველ შეფასებასა და ხარისხის ციკლის დახურვას.

### **7. საჩივრები და აპელაციები (ESG 2.7):**

დოკუმენტი პირდაპირ არ ახსენებს საჩივრებისა და აპელაციების პროცედურებს.

## **II. ფინანსური ხელმისაწვდომობა**

- სტანდარტებით მოთხოვნილია ჰიბრიდული სწავლებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (როგორც ფიზიკური, ისე ვირტუალური გარემოს) უზრუნველყოფა. შეფასება ფოკუსირებულია ახალი მეთოდების შემოღებაზე, შესაბამისი ICT და ვებ-ბაზირებული გადაწყვეტილებების გამოყენებაზე და რელევანტური ციფრული კომპეტენციების უზრუნველყოფაზე. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს დამატებითიდანახარჯები დაწესებულებებისთვის (ტექნიკური ინფრასტრუქტურის, კადრების გადამზადების, ადმინისტრაციული და ტექნიკური მხარდაჭერის კუთხით).
- დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ციფრული რესურსები, მათ შორის სალექციოჩანაწერები, წარმოადგენს დამხმარე საშუალებას და ვერჩანაცვლებს პირისპირ სწავლებას. ეს განაპირობებს მუდმივიდანახარჯების აუცილებლობას ერთდროულად როგორც ვირტუალური, ისე ფიზიკური სასწავლოგარემოს უზრუნველსაყოფად.

## **III. საქართველოს სამართლებრივ დაინსტიტუციურ ჩარჩოებთან შესაბამისობა**

- დოკუმენტი ეყრდნობა სლოვენის აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს. SQAA-ს ჰიბრიდული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა შეესაბამებოდეს ტრადიციულ სტანდარტებს, თუმცა შერეული სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით. ეს მოდელი მარტივია და ადვილად ადაპტირებადია საქართველოს რეალობაზე. ჩარჩო გამოიყენება "mutatis mutandis" პრინციპით, რაც გულისხმობს არსებული სამართლებრივი სტანდარტების გამოყენებას ჰიბრიდული სწავლებისთვის საჭირო ცვლილებებით. ამ მოდელის დანერგვის შემთხვევაში, შერეული პროგრამების დროს აკრედიტაცია შეიძლება მოხდეს საქართველოში არსებული ტრადიციული სტანდარტების მიხედვით, მათი ინტერპრეტაციის გზით, შერეული სწავლების თავისებურებების გათვალისწინებით. არ საჭიროებს სისტემურ ცვლილებას.



**IV. ინსტიტუციური ავტონომიის უზრუნველყოფა**

- მოდელი ანიჭებს დაწესებულებებს უფლებამოსილებას, დამოუკიდებლად შეაფასონ საკუთარი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემები და შეიმუშაონ სასწავლო პროგრამები თავიანთი საჭიროებების შესაბამისად.
- დაწესებულებებს შეუძლიათ ჰიბრიდული სწავლების მორგება საკუთარ შესაძლებლობებსა და სპეციფიკაზე, ხარისხისა და თანმიმდევრულობის შენარჩუნების პირობით. ეს მოიცავს თავისუფლებას სწავლების მეთოდების შერჩევის, თვითშეფასებისა და ვირტუალური და ფიზიკური კომპონენტების ინტეგრირების მხრივ.

**V. განათლების ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა**

- მოდელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო მასალებზე თანაბარი წვდომისა და უშუალო კომუნიკაციის უზრუნველყოფას როგორც ვირტუალურ, ისე ფიზიკურ სივრცეში.
- ხაზგასმულია სათანადო მხარდაჭერის აუცილებლობა ყველასტუდენტისთვის, განსაკუთრებით დისტანციური სწავლების მონაწილეთათვის. ასევე მნიშვნელოვანია ტექნიკური და ადმინისტრაციული დახმარების უზრუნველყოფა როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის ჰიბრიდულ მოდელთან ადაპტაციისთვის.
- განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო რესურსების მრავალფეროვნებასა და ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრას, ვინაიდან საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფლობადა შესაბამისი უნარები გადამწყვეტია ჰიბრიდულ სწავლებაში წარმატებული მონაწილეობისთვის.

**დასკვნა:**

- სტანდარტები სრულად შეესაბამება ESG-ის მე-2 ნაწილის რამდენიმე ასპექტს, განსაკუთრებით ხარისხის შიდა უზრუნველყოფის, მიზნობრივი მეთოდოლოგიების შემუშავებისა და პროცესების დანერგვის თვალსაზრისით. თუმცა, ნაკლები ყურადღება ეთმობა ანგარიშგებისა და გასაჩივრების პროცედურებს (3 ქ.)
- **ფინანსური ხელმისაწვდომობა:** ჰიბრიდული მოდელი საჭიროებს მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურასა და მხარდაჭერ სერვისებში, რაც წარმოშობს საშუალო სირთულის გამოწვევებს ფინანსური ხელმისაწვდომობის მხრივ. (2 ქ.)
- **სამართლებრივი და ინსტიტუციური თავსებადობა:** სახელმძღვანელო პრინციპები გამოიყენება "mutatis mutandis" პრინციპით, რაც გულისხმობს მათ მორგებას ჰიბრიდული სწავლებისთვის არსებითი სამართლებრივი ცვლილებების გარეშე. მოდელს ახასიათებს მაღალი თავსებადობა (4 ქ.)
- **ინსტიტუციური ავტონომია:** მოდელი უზრუნველყოფს დაწესებულებების მნიშვნელოვან დამოუკიდებლობას ჰიბრიდული სწავლების დანერგვის პროცესში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შენარჩუნების პირობით, რაც სრულად შეესაბამება ინსტიტუციური ავტონომიის პრინციპებს. (4 ქ.)
- **ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა:** სასწავლო რესურსებზე წვდომის, მხარდაჭერი სერვისებისა და ციფრული უთანასწორობის შემცირებაზე ორიენტირება განაპირობებს მოდელის მაღალ ინკლუზიურობასა და ხელმისაწვდომობას. (4 ქ.)

მოდელი	ESG- სთან შესაბამისობა (25%)	ფინანსური ხელმისაწვდომობა (20%)	საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა (25%)	მოქნილობა ინსტიტუციური ავტონომიისთვის (15%)	ინკლუზიურობა და განათლების ხელმისაწვდომობა (15%)	სულ ქულა
QOI	4 * 25 = 100	2 * 20 = 40	3 * 25 = 75	4 * 15 = 60	3 * 15 = 45	320
<b>HAKA</b>	<b>3 * 25 = 75</b>	<b>4 * 20 = 80</b>	<b>4 * 25 = 100</b>	<b>4 * 15 = 60</b>	<b>4 * 15 = 60</b>	<b>375</b>
ASHE	3 * 25 = 75	2 * 20 = 40	2 * 25 = 50	4 * 15 = 60	4 * 15 = 60	285
SQAA	3 * 25 = 75	2 * 20 = 40	4 * 25 = 100	4 * 15 = 60	4 * 15 = 60	335

## შედარებითი დასკვნა და უპირატესი ალტერნატივის აღწერა

ხარისხის უზრუნველყოფის ოთხი ჩარჩოს (QQI, HAKA, ASHE და SQAA) შეფასებისას, HAKA გამოიკვეთა საქართველოში დასაწერად საუკეთესო ალტერნატივად. ეს დასკვნა ეფუძნება ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით მიღებულ შედეგებს:

- 1. ESG-სთან შესაბამისობა (წონა 25%):** ყველა ჩარჩო ზოგადად კარგად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG). HAKA, QQI და SQAA განსაკუთრებით მაღალ შესაბამისობას ავლენენ. HAKA-ს ESG-სთან შესაბამისობა მყარია, თუმცა საჩივრების ფორმალური პროცედურების კუთხით გაუმჯობესების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ HAKA QQI-ს უტოლდება, თუმცა ESG-თ განსაზღვრული მეთოდოლოგიისა და პროცესების დანერგვის ყოვლისმომცველი მიდგომით მაინც გამოირჩევა და 4-დან 3 ქულას იმსახურებს.
- 2. ფინანსური ხელმისაწვდომობა (წონა 20%):** საქართველოში, სადაც დაწესებულებები და სტუდენტები შეზღუდული რესურსებით ხასიათდებიან, ფინანსური ბარიერები უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს. HAKA გამოირჩევა ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით. მისი სტანდარტები მიზნად ისახავს როგორც შემსწავლელების, ისე დაწესებულებებისთვის ფინანსური შეზღუდვების შემცირებას. QQI-სა და SQAA-სგან განსხვავებით, რომლებიც მნიშვნელოვან რესურსებს საჭიროებენ, HAKA ხარჯთეფექტურ გადაწყვეტილებებს უჭერს მხარს და ამცირებს დამატებითი ფასიანი პროგრამული უზრუნველყოფის საჭიროებას. ეს მას ფინანსურად ყველაზე მისაღებ ვარიანტად აქცევს (4 ქულა 4-დან).
- 3. საქართველოს სამართლებრივ და ინსტიტუციურ კონტექსტთან თავსებადობა (წონა 25%):** HAKA ყველაზე მაღალ ადაპტირების უნარს ავლენს საქართველოს სამართლებრივ და მარეგულირებელ ჩარჩოებთან მიმართებით. ეს უზრუნველყოფს მის უმტკივნეულო ინტეგრაციას მნიშვნელოვანი რეფორმების საჭიროების გარეშე. მართალია, QQI და ASHE ასევე ავლენენ თავსებადობას, მაგრამ მათ უფრო სპეციფიკური ცვლილებები სჭირდებათ ადგილობრივ აკრედიტაციასა და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის (HAKA-ს 4 ქულა ენიჭება 4-დან).
- 4. ინსტიტუციური ავტონომია (წონა 15%):** HAKA, ASHE-ისა და SQAA-ს მსგავსად, მნიშვნელოვან ინსტიტუციურ მოქნილობას სთავაზობს უნივერსიტეტებს, რაც მათ საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ ავტონომია სასწავლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს აუცილებელია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა მათ შეძლონ სტრატეგიების მორგება ადგილობრივ და ინსტიტუციურ მიზნებზე. მიუხედავად იმისა, რომ QQI ასევე იძლევა მოქნილობას, HAKA ამ კატეგორიაში უმაღლეს შეფასებას იმსახურებს (4 ქულა 4-დან).
- 5. ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა (წონა 15%):** როგორც HAKA, ისე SQAA ეფექტურად უდგება ინკლუზიურობის საკითხებს. ისინი მხარს უჭერენ სწავლის მრავალფეროვან საჭიროებებს და ხელს უწყობენ სწავლის მოქნილ მოდელს. თუმცა, HAKA გამოირჩევა ჭკვიან მოწყობილობებთან თავსებადობაზე ყურადღების გამახვილებითა და სოციალურად დაუცველი შემსწავლელების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით (HAKA-ს 4 ქულა ენიჭება 4-დან).

HAKA შეირჩა საუკეთესო ალტერნატივად, რადგან ის ყველაზე უკეთ აბალანსებს ყველა შეფასებულ კრიტერიუმს:

- **ძლიერი ფინანსური ხელმისაწვდომობა:** HAKA ითვალისწინებს უსდ-ების შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების მოცემულობას და გთავაზობს ხარჯთეფექტურ გადაწყვეტილებებს, ამცირებს ბარიერებს სტუდენტებისა და დაწესებულებებისთვის, რაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.
- **სამართლებრივი და ინსტიტუციური ადაპტირებადობა:** HAKA-ს მოქნილობა უზრუნველყოფს მის უმტკივნეულო ინტეგრაციას საქართველოს არსებულ სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოებში მინიმალური ცვლილებებით. ეს უპირატესობას ანიჭებს მას სხვა ჩარჩოებთან შედარებით, რომლებიც უფრო მნიშვნელოვან მარეგულირებელ ცვლილებებს მოითხოვდა.

- **ინსტიტუციური მოქნილობა:** HAKA უნივერსიტეტებს ანიჭებს ავტონომიის მაღალ ხარისხს. ის საშუალებას აძლევს დაწესებულებებს, მოარგონ თავიანთი სტრატეგიები და სწავლების მეთოდები ზედმეტი შეზღუდვების გარეშე, რაც შეესაბამება საქართველოს საჭიროებას ინსტიტუციური თავისუფლებისთვის.
- **ინკლუზიურობა და ხელმისაწვდომობა:** HAKA პრიორიტეტად ისახავს ინკლუზიურობას ხელმისაწვდომი ციფრული პლატფორმებისა და შემსწავლელთა მხარდაჭერის სისტემების მეშვეობით. ეს უმნიშვნელოვანესია ციფრული უთანასწორობის დასაძლევად და საქართველოში განათლებაზე თანასწორი წვდომის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმისა, რომ QQI და ASHE ასევე კარგად ასრულებენ თავიანთ ფუნქციას კონკრეტულ სფეროებში, HAKA გამოირჩევა თავისი მრავალმხრივი მიდგომით. ის აერთიანებს ფინანსურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ ადაპტირებადობას ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის მიმართ მტკიცე ერთგულებასთან ერთად. ეს მახასიათებლები მას აქცევს ყველაზე შესაფერის ჩარჩოდ საქართველოს უნიკალური საგანმანათლებლო და ეკონომიკური კონტექსტისთვის.

**საქართველოში ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვისკენ მიმართული პოლიტიკის რეკომენდაციები:**

ხარისხის უზრუნველყოფის ოთხი ჩარჩოს (QQI, HAKA, ASHE და SQAA) შეფასებისას, HAKA გამოიკვეთა საქართველოში დასაწერად საუკეთესო ალტერნატივად. ეს დასკვნა ეფუძნება ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით მიღებულ შედეგებს:

**1. მეორადი კანონმდებლობის დონეზე ელექტრონული სწავლებისთვის მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა**

მარეგულირებელმა ჩარჩომ უნდა განსაზღვროს პროგრამების აკრედიტაციის სპეციფიკური სტანდარტები, გარე შეფასების მექანიზმები და ხარისხის მონიტორინგის პროცედურები. რეგულაციები უნდა შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და ინტეგრირდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არსებულ სისტემაში.

**მიზანშეწონილია:**

- არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი და კანონქვემდებარე აქტების საჭიროებების იდენტიფიცირება
- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციფიკური კრიტერიუმების შემუშავება HAKA-ს სტანდარტების გათვალისწინებით
- შემუშავებული რეგულაციების განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან (საჯარო კონსულტაციები)
- მათი ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG) შესაბამისობის დადგენა
- კანონქვემდებარე აქტების განხორციელების ვადების განსაზღვრა, პერიოდული გადახედვისა და განახლების მექანიზმების ჩათვლით

**2. ელექტრონული პროგრამების აკრედიტაციის სპეციალიზებული პროცესის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა**

კანონქვემდებარე აქტების მიღების შემდეგ, აუცილებელია ელექტრონული სწავლების პროგრამების აკრედიტაციის პრაქტიკული პროცედურების შემუშავება და დანერგვა. ეს მოიცავს როგორც დეტალურ მეთოდოლოგიას, ისე შეფასების კონკრეტულ ინსტრუმენტებს, რომლებიც HAKA-ს კრიტერიუმებს დაეფუძნება.

**მიზანშეწონილია:**

- ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება
- შეფასების კრიტერიუმების, ფორმებისა და პროცედურების დეტალური აღწერა
- საპილოტე სააკრედიტაციო პროცესის განხორციელება შერჩეულ უსდ-ებთან პროცედურების პრაქტიკული გამართულობის შესამოწმებლად
- პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით პროცედურების დახვეწა და საბოლოო სახით ჩამოყალიბება

### **3. ყოვლისმომცველი ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება**

ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა უხელმძღვანელოს ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიას, რომელიც მიმართული იქნება ყველა დაინტერესებულ მხარეზე - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, აკადემიურ პერსონალზე, სტუდენტებსა და დამსაქმებლებზე.

#### **მიზანშეწონილია:**

- თემატური სემინარებისა და შეხვედრების ორგანიზება HAKA მოდელის წარმატებული პრაქტიკის განსახილველად
- HAKA მოდელის საქართველოს კონტექსტთან შესაბამისობისა და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების წარმოჩენა
- საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემისთვის მოდელის პრაქტიკული სარგებლის ხაზგასმა, განსაკუთრებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ელექტრონული სწავლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით

### **4. ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე ჩარჩოზე დაფუძნებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საჭიროებენ მხარდაჭერასა და წახალისებას ელექტრონული სწავლებისთვის სპეციალიზებული შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაქმნელად, ცენტრის მიერ დადგენილი გარე სტანდარტების შესაბამისად.

#### **მიზანშეწონილია:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ტრენინგების ჩატარება და რესურსების უზრუნველყოფა ელექტრონული სწავლების პროგრამების ეფექტური შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შესაქმნელად
- დაწესებულებებისთვის დეტალური სახელმძღვანელო პრინციპებისა და ინსტრუმენტების შემუშავება თვითშეფასების ჩასატარებლად
- საპილოტე სააკრედიტაციო პროცესის განხორციელება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით, მათი მონაწილეობის წასახალისებლად და ახალ გარე ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოსთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

### **5. მიზნობრივი ინსტიტუციური მხარდაჭერისა და შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფა**

ინსტიტუციური შესაძლებლობების ყოვლისმომცველი შეფასების ჩატარება ელექტრონული სწავლებისთვის მზაობის თვალსაზრისით. იმ დაწესებულებებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო ინფრასტრუქტურა ან ციფრული უნარები, აუცილებელია მიზნობრივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ალტერნატიული მენტორობის პროგრამების, გრანტებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების მეშვეობით, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

#### **მიზანშეწონილია:**

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ელექტრონული სწავლების შესაძლებლობების შესაფასებლად მზაობის შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება.
- სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული მენტორობის პროგრამის შემუშავება, რომელშიც ჩაერთვებიან დარგობრივი ექსპერტები, ედტექის კომპანიები და საერთაშორისო კონსულტანტები და შეიქმნება თემატური სამუშაო ჯგუფები სხვადასხვა ასპექტზე (მაგ., ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, პედაგოგიკა, შეფასება).
- ინდუსტრიის პარტნიორობის განვითარება ტექნოლოგიური კომპანიებისა და ედტექის სტარტაპების ჩართვით.
- ცენტრალიზებული ონლაინ პლატფორმისა და რესურსების ცენტრის შექმნა სასწავლო მასალების, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებისა და ექსპერტთა რჩევების გასაზიარებლად.

## 6. რესურსების მობილიზება სტრატეგიული პარტნიორობების მეშვეობით

სტრატეგიული პარტნიორობების განვითარება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ელექტრონული სწავლების განსახორციელებლად რესურსების მობილიზების მიზნით. ეს უნდა მოიცავდეს ერთობლივ საფინანსო ინიციატივებს, რესურსების გაზიარებას და ციფრული სწავლების ექსპერტიზის განვითარებას.

### მიზანშეწონილია:

- თანამშრომლობის დამყარება საერთაშორისო დონორებთან და ტექნოლოგიურ კომპანიებთან ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ტრენინგ-ინიციატივების თანადასაფინანსებლად.
- რესურსების გაზიარების შეთანხმებების ხელშეწყობა დაწესებულებებს შორის ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტებისა და ექსპერტიზის გასაერთიანებლად.
- აღნიშული პარტნიორობების გამოყენება უმაღლეს განათლებაში სახელმწიფო ინვესტიციების წასახალისებლად, რაც ელექტრონულ სწავლებას უფრო ფინანსურად მდგრადსა და მიმზიდველს გახდის უნივერსიტეტებისთვის.

## 7. უწყვეტი მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა

ინტეგრირებული მონიტორინგისა და უკუკავშირის სისტემის შემუშავება ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განხორციელებისა და გავლენის რეგულარული შეფასებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას მისი ეფექტურობა, რელევანტურობა და შესაბამისობა როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ სტანდარტებთან.

### მიზანშეწონილია:

- უკუკავშირის მექანიზმის შემუშავება: გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებისა და ციფრული პლატფორმების გამოყენება დაინტერესებული მხარეებისგან, როგორცაა სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მონაცემების შესაგროვებლად. აუცილებელია ამ მექანიზმების ხელმისაწვდომობისა და მომხმარებლისთვის მეგობრულობის უზრუნველყოფა მონაწილეობისა და გულწრფელი უკუკავშირის წასახალისებლად.
- რეგულარული შეფასებების ჩატარება: პერიოდულად უნდა მოხდეს აკრედიტებული ელექტრონული სწავლების პროგრამების მიმოხილვა შეგროვებული უკუკავშირისა და ციფრული ანალიტიკის გამოყენებით. აუცილებელია ამ მონაცემების ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და მათ განხორციელებაში ხარვეზების ან გასაუმჯობესებელი სფეროების გამოსავლენად.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დახვეწა უკუკავშირის საფუძველზე: აუცილებელია ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელისა და სტანდარტების უწყვეტი განახლება და დახვეწა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირისა და საერთაშორისო ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე. ეს უზრუნველყოფის სისტემის რელევანტურობასა და ეფექტურობას დროთა განმავლობაში.

## 8. აკრედიტაციის პროცესის სახელმწიფო დაფინანსების უზრუნველყოფა

ელექტრონული სწავლების პროგრამების აკრედიტაციის პროცესის სახელმწიფო დაფინანსება უნივერსიტეტებისთვის შეამცირებდა ელექტრონული პროგრამების დანერგვის ფინანსურ ხარჯს და, შესაბამისად, წაახალისებდა ამ პროცესს.

### მიზანშეწონილია:

- ლობირება სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ელექტრონული სწავლების აკრედიტაციის ხარჯების დასაფარად.

ეს რეკომენდაციები უზრუნველყოფს, რომ საქართველოს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა არა მხოლოდ შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, არამედ იყოს ადაპტირებული ეროვნულ კონტექსტთან, რაც ხელს შეუწყობს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი ელექტრონული სწავლების პროგრამებისა თუ ცალკეული კურსების განვითარებას.

## უმაღლესი/უპირატესი ალტერნატივის განხორციელების სტრატეგიის მონახაზი

### **(I.) ესტონეთის HAKA ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის ადაპტაცია**

ეს ფაზა მოიცავს HAKA-ს ელექტრონული სწავლების ხარისხის სტანდარტების შესწავლასა და ადაპტირებას ქართულ კონტექსტთან, ესტონეთის საგანმანათლებლო ორგანოებთან თანამშრომლობას და სამუშაო დოკუმენტის შექმნას, რომელიც განსაზღვრავს სტანდარტებს ქართული უნივერსიტეტებისთვის.

### ძირითადი აქტივობები:

#### 1. HAKA მოდელის დეტალური შესწავლა:

- ესტონეთის HAKA ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის ძირითადი კომპონენტების იდენტიფიცირება და ანალიზი:
  - ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპების გამოკვლევა
  - სტანდარტებისა და მექანიზმების დეტალური შესწავლა
  - შეფასების მეთოდოლოგიის ანალიზი
- მოდელის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება:
  - ეფექტურობის მაჩვენებლების გამოვლენა
  - საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა
- მოდელის დანერგვის გამოცდილების ანალიზი:
  - ესტონეთში დანერგვის პროცესის შესწავლა
  - გამოვლენილი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების ანალიზი

#### 2. შედარებითი ანალიზი:

- ესტონეთის ელექტრონული სწავლების სტანდარტებისა და საქართველოს არსებული პრაქტიკის შედარებითი ანალიზის ჩატარება:
  - საქართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემის მიმოხილვა
  - ელექტრონული სწავლების მიმართ არსებული მიდგომების შესწავლა
  - ხარვეზებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება
- საქართველოს კონტექსტში პოტენციური გამოწვევების გამოვლენა:
  - კულტურული და ინსტიტუციური განსხვავებების ანალიზი
  - რესურსებისა და ინფრასტრუქტურის საჭიროებების შეფასება
- იმ კომპონენტების გამოყოფა, რომელთა ადაპტირებაც შესაძლებელია:
  - პირდაპირ გადმოსატანი ელემენტების იდენტიფიცირება

- მოდიფიკაციას დაქვემდებარებული კომპონენტების გამოვლენა
- სრულად ახალი ელემენტების საჭიროების განსაზღვრა
- ადაპტაციის პოტენციური გზების დასახვა:
  - მოკლევადიანი და გრძელვადიანი ცვლილებების იდენტიფიცირება
  - ეტაპობრივი დანერგვის გეგმის მონახაზის შემუშავება

**3. ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება:**

- სამუშაო შეხვედრების მოწყობა ესტონეთის საგანმანათლებლო ხარისხის ექსპერტებთან და დაწესებულებებთან:
  - HAKA-ს წარმომადგენლებთან პირდაპირი კონსულტაციების ორგანიზება
  - ესტონეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარების სესიების დაგეგმვა
- გამოცდილების გაცვლა ელექტრონული სწავლების ხარისხის სტანდარტების დანერგვის გამოწვევებზე:
  - ესტონეთში დანერგვის პროცესში წამოჭრილი პრობლემების განხილვა
  - გამოწვევების დაძლევის სტრატეგიების შესწავლა
- საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა:
  - წარმატებული ელექტრონული სწავლების პროგრამების ანალიზი
  - შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების იდენტიფიცირება

**4. სამუშაო დოკუმენტის შემუშავება:**

- შედარებით ანალიზსა და ექსპერტთა კონსულტაციებზე დაყრდნობით, სამუშაო დოკუმენტის შემუშავება, რომელიც დეტალურად აღწერს ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს საქართველოსთვის:
  - ადაპტირებული სტანდარტების დეტალური აღწერა
  - შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განსაზღვრა
  - დანერგვის გზამკვლევის შემუშავება

**5. კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან:**

- სამუშაო დოკუმენტზე უკუკავშირის შეგროვება შემდეგი ჯგუფებისგან:
  - უნივერსიტეტების ადმინისტრაცია
  - აკადემიური პერსონალი
  - სტუდენტები
  - დამსაქმებლები
  - განათლების სფეროს ექსპერტები
- უკუკავშირის ანალიზი და სისტემატიზაცია
- საჯარო განხილვების ორგანიზება ფართო აუდიტორიისთვის

**6. სტანდარტების საბოლოო დამტკიცება:**

- მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით, დოკუმენტის გადამუშავება
- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების საბოლოო ვერსიის მომზადება
- სტანდარტების ოფიციალური დამტკიცების პროცესის ინიცირება შესაბამის ორგანოებში
- დამტკიცებული სტანდარტების გავრცელება და კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან

**(II.) უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა**

ამ ფაზაში უნივერსიტეტებს ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის მხარდასაჭერად მიეწოდებათ სპეციალურად შექმნილი სახელმძღვანელო პრინციპები და რესურსები, ასევე მოეწყობა ტრენინგები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ელექტრონული სწავლების პროგრამების ეფექტურად მართვის, განხორციელებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის შესახებ.

## ძირითადი აქტივობები:

### 1. სამუშაო ჯგუფის შექმნა:

- ელექტრონული და ელექტრონული სწავლების ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფის ფორმირება გარე ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის საუნივერსიტეტო შიდა სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად
- სამუშაო ჯგუფის მუშაობის გეგმისა და ვადების შემუშავება

### 2. სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება:

- უნივერსიტეტებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებისა და სატრენინგო მასალების მომზადება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ახალი ხარისხის სტანდარტების ეფექტური დაკმაყოფილება
- სატრენინგო მოდულების შემუშავება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (ძირითადად უსდ-ების ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი)

### 3. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების მხარდაჭერა:

- უნივერსიტეტებისთვის დეტალური სახელმძღვანელო პრინციპებისა და ინსტრუმენტების შემუშავება ელექტრონული სწავლების პროგრამების თვითშეფასების ჩასატარებლად
- ელექტრონული სწავლების პროგრამების ეფექტური შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვის მენტორინგი
- საპილოტე სააკრედიტაციო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უნივერსიტეტების ჩართულობით (საპილოტე პროცესები დაფინანსდება სახელმწიფოს მიერვე).

### 4. ტრენინგ-სესიების ჩატარება:

- უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ტრენინგ-სესიების ჩატარება ელექტრონული სწავლების პროგრამების მართვის, სწავლების სტრატეგიებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესახებ
- ტრენინგების შემდგომი უკუკავშირის მექანიზმის შემუშავება და დანერგვა

### 5. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა:

- უნივერსიტეტებისთვის კონსულტაციების გაწევა ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაძლიერების მიზნით
- უნივერსიტეტებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების პლატფორმის შექმნა

## (III) ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება (მოცემულია ადვოკატირებისა და კომუნიკაციის სტრატეგიის ფორმით).

### • ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების მიღების ადვოკატირებისა და კომუნიკაციის სტრატეგია

#### 1. ძირითადი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

ამ სტრატეგიაში ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები (უსდ): უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაციული პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ელექტრონული სწავლების ახალი ხარისხის სტანდარტების მიღებასა და საგანმანათლებლო პროგრამებში დანერგვაზე.
2. სტუდენტები: მოქმედი და პოტენციური სტუდენტები, რომლებიც ისარგებლებენ ელექტრონული სწავლების პროგრამების გაუმჯობესებული ხარისხითა და მოქნილობით.
3. აკადემიური პერსონალი: ფაკულტეტის წევრები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი ელექტრონული სწავლების პროგრამების მიწოდებასა და მართვაში და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტანდარტების დანერგვაში.
4. დამსაქმებლები: დაინტერესებულნი არიან იმის უზრუნველყოფით, რომ კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ შრო-



-მის შრომის საჭირო კვალიფიკაციას და უნარები.

5. განათლების ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები: განათლების სექტორში მომუშავე ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მხარს უჭერენ სტანდარტების ადაპტაციას და დაინტერესებულები არიან დარგის განვითარებით.

## 2. კომუნიკაციის მიზნები

ძირითადი მიზანია ესტონეთის HAKA ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების მიღებისა და შეუფერხებელი დანერგვის უზრუნველყოფა საქართველოს უნივერსიტეტებში, ყველა დაინტერესებულ მხარის ჩართულობით, მათი ცნობიერების ამაღლებითა და მხარდაჭერის მოპოვებით.

### კონკრეტული მიზნები:

- ცნობიერების ამაღლება:** უსდ-ების ადმინისტრაციისა და მენეჯმენტის, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლების, განათლების ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირება საერთაშორისოდ აღიარებული ელექტრონული სწავლების ხარისხის სტანდარტების მიღების მნიშვნელობისა და სარგებლის შესახებ.
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობის წახალისება:** ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის უზრუნველყოფა კონსულტაციებისა და დისკუსიებში, სტანდარტების ქართულ საგანმანათლებლო კონტექსტზე მორგების ხელშეწყობად.
- თანამშრომლობის ხელშეწყობა:** პარტნიორობის ჩამოყალიბება ესტონეთის საგანმანათლებლო ორგანოებს, ქართულ უნივერსიტეტებს, სამთავრობო ორგანოებს, განათლების ექსპერტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის სტანდარტების წარმატებული ადაპტაციისთვის.
- მონიტორინგი და რეაგირება:** უწყვეტი უკუკავშირის მექანიზმების შემუშავება კომუნიკაციის სტრატეგიების საჭიროებისამებრ ადაპტაციისთვის.

## 3. ძირითადი გზავნილები

თითოეული დაინტერესებული ჯგუფისთვის მორგებული გზავნილები იქნება მიმართული ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად:

- უსდ-ს ადმინისტრაციისა და მენეჯმენტისთვის:**
  - გზავნილი: "გაუმჯობესეთ თქვენი დაწესებულების ელექტრონული სწავლების მეთავერები ევროპაში აღიარებული სტანდარტების მიღებით, რომლებიც ხელს უწყობს ხარისხს, ხელმისაწვდომობასა და ინოვაციას."
- სტუდენტებისთვის:**
  - გზავნილი: "თქვენი განათლება მნიშვნელოვანია! დაეხმარეთ ელექტრონული სწავლების მომავლის ფორმირებას ხარისხის სტანდარტების მხარდაჭერით, რომლებიც გაუმჯობესებს თქვენს სასწავლო გამოცდილებასა და კარიერულ პერსპექტივებს."
- აკადემიური პერსონალისთვის:**
  - გზავნილი: "გააძლიერეთ თქვენი სწავლება მყარი ელექტრონული სწავლების სტანდარტებით, რომლებიც მხარს უჭერს ინოვაციურ, ეფექტურ და სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს."
- დამსაქმებლებისთვის:**
  - გზავნილი: "მხარი დაუჭირეთ კვალიფიციური სამუშაო ძალის განვითარებას ელექტრონული სწავლების პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანით."
- განათლების ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის:**
  - გზავნილი: "თქვენი ექსპერტული ცოდნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია ელექტრონული სწავლების სტანდარტების წარმატებით ადაპტირებისთვის საქართველოს უნიკალურ საგანმანათლებლო გარემოში."

## 4. კომუნიკაციის არხები

დაინტერესებული მხარეების მისაღწევად და ჩასართავად გამოყენებული იქნება კომუნიკაციის არხების მრავალფეროვნება:

- **სემინარები და ვორკშოპები:** საინფორმაციო ვორკშოპები უნივერსიტეტის ლიდერებისთვის, ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, განათლების ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ახალი სტანდარტების დანერგვის სარგებლისა და პრაქტიკული საკითხების განსახილველად, ასევე გამოწვევებისა და პრობლემების გადასაჭრელად.
- **სტუდენტური ფორუმები:** ფორუმების ორგანიზება, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გააზიარონ თავიანთი მოსაზრებები ელექტრონულ სწავლებაზე, რაც უზრუნველყოფს მათი პრეფერენციებისა და პრობლემების გათვალისწინებას სტანდარტების მიღების პროცესში.
- **ტრადიციული მედია კამპანიები:** რადიოს, ტელევიზიისა და ბეჭდური პრესის გამოყენება ელექტრონული სწავლების ხარისხის სტანდარტების მიღების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მსგავსი პროგრამების განმახორციელებელი უნივერსიტეტების წარმატების ისტორიების წარმოჩენით.
- **სოციალური მედიის კამპანიები:** ფართო აუდიტორიის ჩართვა სოციალური მედიის პლატფორმების მეშვეობით მოკლე ვიდეოებით, ინფოგრაფიკებითა, ონლაინ ფორუმებითა და პოსტებით.
- **ვებგვერდი და რეპოზიტორები:** ონლაინ პლატფორმის (ვებგვერდი და რეპოზიტორი) შექმნა, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ წვდომა ჰქონდეთ განახლებულ ინფორმაციაზე, სასწავლო რესურსებსა და სხვა შესაბამის მასალებზე ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.
- **ბრიფინგები:** საჭიროებისამებრ ბრიფინგების ორგანიზება პროცესის პროგრესის, გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

## 5. ჩართულობისა და უკუკავშირის მექანიზმები

გამჭვირვალობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, დაინერგება შემდეგი ჩართულობის მექანიზმები:

- **გამოკითხვები და კვლევები:** ონლაინ გამოკითხვების ჩატარება სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან შემოთავაზებულ სტანდარტებსა და მათ დანერგვაზე უკუკავშირის მისაღებად.
- **ფოკუსგუფები:** ფოკუსგუფების დისკუსიების ჩატარება უსდ-ებთან, სტუდენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პრობლემებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების უფრო ღრმად შესასწავლად.
- **ღია დისკუსიები:** უნივერსიტეტებში ღია კარის შეხვედრებისა და დისკუსიების მასპინძლობა ყველა დაინტერესებული მხარისგან კონტრიბუციის წასახალისებლად, გამჭვირვალე და თანამშრომლობითი პროცესის ხელშეწყობისთვის.

6. **ღრმის გრაფიკი** ადვოკატირების კამპანია განხორციელდება 2026 წლის განმავლობაში, დაყოფილი ოთხ ფაზად:

**I ფაზა** (ცნობიერების ამაღლება და ინფორმაციის გავრცელება):

- I კვარტალი: დაიწყება კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან. ამოქმედდება სოციალური და ტრადიციული მედიის კამპანიები ცნობიერების ასამაღლებლად.

**II ფაზა** (კონსულტაციები და ჩართულობა):

- II კვარტალი: ჩატარდება სემინარები, ვებინარები და კონსულტაციები ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან სტანდარტების დასახვეწად ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით და მათი წვლილის მისაღებად ადაპტაციის პროცესში.

**III ფაზა** (უკუკავშირი და დახვეწა):

- III კვარტალი: შეგროვდება და გაანალიზდება გამოკითხვების, ფოკუსგუფებისა და დისკუსიების შედეგად მიღებული უკუკავშირი. შესაბამისად დაიხვეწება სტანდარტები და კომუნიკაციის სტრატეგია.

**IV ფაზა** (დანერგვა და მონიტორინგი):

- IV კვარტალი: დასრულდება ადვოკატირების ღონისძიებები, განხორციელდება სტანდარტების დანერგვის მონიტორინგი უნივერსიტეტებში და გაგრძელდება მხარდაჭერის გაწევა დაინტერესებული მხარეებისთვის მთელი პროცესის განმავლობაში.

**7. მონიტორინგი და შეფასება** მონიტორინგი და შეფასება მნიშვნელოვანია სტრატეგიის წარმატების უზრუნველსაყოფად:

**• ძირითადი შესრულების ინდიკატორები:**

**სემინარები და ვებინარები:**

- ჩატარებული სემინარების/ვებინარების რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 20 პირველი 6 თვის განმავლობაში);
- სემინარებში/ვებინარებში მონაწილეთა საერთო რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 1000 მონაწილე);
- მონაწილეთა კმაყოფილების დონე (მიზანი: საშუალო შეფასება 4.5/5 შკალაზე);

**სოციალურ მედიაში ჩართულობა:**

- კამპანიის გვერდის მიმდევრების რაოდენობა (მიზანი: 10,000 მიმდევარი პირველი 3 თვის ბოლოს);
- პოსტების საშუალო წვდომა (მიზანი: 50,000 უნიკალური მომხმარებელი თითო პოსტზე);
- ინტერაქციის მაჩვენებელი (მიზანი: 5% ჩართულობა თითო პოსტზე, მოიცავს მოწონებებს, კომენტარებს და გაზიარებებს);
- კამპანიის ჰეშთეგის გამოყენების სიხშირე (მიზანი: 1000 გამოყენება კვირაში);

**დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა:**

- დაინტერესებული მხარეების რაოდენობა, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი კამპანიაში (მიზანი: მინიმუმ 50 ორგანიზაცია/ინსტიტუცია)
- დაინტერესებული მხარეების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 10 ღონისძიება)
- უკუკავშირის სიხშირე დაინტერესებული მხარეებისგან (მიზანი: ყოველთვიური უკუკავშირი ძირითადი პარტნიორებისგან)

**მედია გაშუქება:**

- კამპანიის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების/რეპორტაჟების რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 30 პუბლიკაცია)
- მედია გაშუქების პოტენციური აუდიტორია (მიზანი: 1 მილიონი ადამიანი)

**ცნობიერების ამაღლება:**

- სამიზნე აუდიტორიის წევრების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც მუდმივად სწორად აღიქვამდა გაუკეთონ HAKA მოდელის მინიმუმორ ძირითად პრინციპს რეპრეზენტატიული გამოკითხვის დროს (მიზანი: 70% კამპანიის ბოლოს).
- ვებგვერდის უნიკალური ვიზიტორების რაოდენობა (მიზანი: 30,000 უნიკალური ვიზიტორი თვეში)

**• პერიოდული მიმოხილვები:** ჩატარდება რეგულარული შეფასებები პროგრესის გასაზომად, კომუნიკაციის სტრატეგიების დასახვეწად და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაუმჯობესებლად.

**• ზეგავლენის კვლევები:** კამპანიის დასრულების შემდეგ ჩატარდება კვლევები კომუნიკაციის ეფექტურობისა და დაინტერესებული მხარეების მზაობის შესაფასებლად ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით.

***(IV) მონიტორინგი და შეფასება (მოცემულია მონიტორინგის და შეფასების გეგმის ფორმით)***

**მონიტორინგისა და შეფასების გეგმა**

მონიტორინგისა და შეფასების (M&E) გეგმაზე დამუშავებით მიჰყვება განხორციელების გეგმას და უზრუნველყოფს, რომ თითოეული ინდიკატორი იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროში განსაზღვრული (S.M.A.R.T.).

**ფაზა I: HAKA ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის ადაპტაცია (2025 წლის I კვარტალი - 2025 წლის IV კვარტალი)**

**HAKA მოდელის შესწავლა:**

**1. დეტალური ანალიზის ანგარიშების დასრულება:**

- ინდიკატორი: საბოლოო ანალიზის ანგარიში დამტკიცებულია პროექტის გუნდის მიერ 2025 წლის II კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: პროექტის დოკუმენტაცია და დამტკიცების ჟურნალები.

**2. ძლიერი მხარეებისა და საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 5 საუკეთესო პრაქტიკა იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებულია 2025 წლის II კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: ანალიზის ანგარიში და ექსპერტების ვალიდაციის ფორმები.

**3. ესტონეთის იმპლემენტაციის გამოცდილების ანგარიშის დასრულება:**

- ინდიკატორი: ანგარიში განხილულია მინიმუმ ორი გარე ექსპერტის მიერ 2025 წლის II კვარტლამდე.
- წყარო: ექსპერტების მიმოხილვის რეზიუმეები და ანგარიშის განხილვის ჟურნალები.

**შედარებითი ანალიზი:**

**1. შედარებითი ანგარიშის დასრულება:**

- ინდიკატორი: ესტონეთის სტანდარტებისა და ქართული პრაქტიკის შედარების ანგარიში დასრულებული და წარდგენილია დაინტერესებული მხარეებისთვის 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: წარდგენის ჟურნალები და დაინტერესებული მხარეების პრეზენტაციის ჩანაწერები.

**2. გამოწვევებისა და გადაწყვეტილებების დოკუმენტირება:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 3 კულტურული, ინსტიტუციური ან ინფრასტრუქტურული გამოწვევის იდენტიფიცირება, შემოთავაზებული გადაწყვეტილებებით დოკუმენტირებული 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ანგარიშები.

**3. ადაპტირებადი კომპონენტების მონახაზი:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 5 ადაპტირებადი კომპონენტი მონახაზებული შედარებით ანგარიშში 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: შედარებითი ანალიზის ანგარიში.

**ცოდნის გაზიარება:**

**1. ცოდნის გაცვლის სესიები ესტონელ ექსპერტებთან:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 3 სესია ორგანიზებული და ჩატარებული 2025 წლის III კვარტლამდე, მონაწილეობის ჟურნალებითა და დღის წესრიგით დოკუმენტირებული.
- წყარო: დასწრების ჟურნალები და სესიის ანგარიშები.

**2. სესიებიდან მიღებული შეხედულებების დოკუმენტირება:**

- ინდიკატორი: თითოეული სესიის მოკლე ანგარიში, რომელიც დეტალურად აღწერს ძირითად შეხედულებებსა და მიღებულ გაკვეთილებს, დასრულებული 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: სესიის ანგარიშები და ექსპერტების უკუკავშირი.

**სამუშაო დოკუმენტის შემუშავება:**

**1. სამუშაო დოკუმენტის პროექტის დასრულება:**

- ინდიკატორი: საქართველოსთვის ადაპტირებული სტანდარტების მონახაზის დოკუმენტი დასრულებული და წარდგენილია განსახილველად 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: დოკუმენტის წარდგენის ჟურნალები და განხილვის ჩანაწერები.

**2. ექსპერტების უკუკავშირის შეგროვება:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 10 ექსპერტისგან უკუკავშირი შეგროვებული და ინტეგრირებული 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: უკუკავშირის ფორმები და დოკუმენტის გადამუშავებული ვერსიები.

## **დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები:**

### **1. ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა:**

- ინდიკატორი: მინიმუმ 5 კონსულტაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (უნივერსიტეტები, სტუდენტები, დამსაქმებლები) 2025 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: დასწრების ჟურნალები და კონსულტაციის ოქმები.

### **2. უკუკავშირის ანგარიშების შედეგა:**

- ინდიკატორი: დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შემაჯამებელი ყოვლის მომცველი უკუკავშირის ანგარიში დასრულებული 2025 წლის IV კვარტლამდე.
- წყარო: უკუკავშირის დოკუმენტაცია და ანალიზის ანგარიშები.

## **საბოლოო სტანდარტიზაცია და დამტკიცება:**

### **1. სამუშაო დოკუმენტის დასრულება:**

- ინდიკატორი: საბოლოო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ყველა უკუკავშირს, დამტკიცებულია შესაბამისი ორგანოების მიერ 2025 წლის IV კვარტლამდე.
- წყარო: დამტკიცების ჟურნალები და საბოლოო დოკუმენტი.

### **2. ოფიციალური დამტკიცების მიღება:**

- ინდიკატორი: დამტკიცების სერტიფიკატები ან ოფიციალური წერილები მიღებულია 2025 წლის IV კვარტლამდე.
- წყარო: მარეგულირებელი ორგანოების ჩანაწერები.

### **3. კომუნიკაციის სტრატეგიის განხორციელება:**

- ინდიკატორი: ინფორმაციის გავრცელება სამიზნე ინსტიტუტების მინიმუმ 80%-ზე 2025 წლის IV კვარტლამდე.
- წყარო: კომუნიკაციის ჟურნალები და ინსტიტუტებიდან მიღებული უკუკავშირი.

## **შეფასების მეტრიკები:**

### **1. დროულობა: აქტივობების 90%-ის დასრულება დაგეგმილ ვადებში.**

- წყარო: პროექტის დროის გრაფიკის თვალყურის დევნის ჟურნალები.

### **2. ხარისხი: ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების მინიმუმ 80% დადებით უკუკავშირს იძლევა ადაპტირებულ სტანდარტებზე.**

- წყარო: კონსულტაციის შემდგომი გამოკითხვები.

### **3. მონაწილეობა: სამიზნე ჯგუფების 80%-ის ჩართულობა (უნივერსიტეტები, სტუდენტები, დამსაქმებლები).**

- წყარო: მონაწილეობის ჩანაწერები.

## **ფაზა II: უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა (2026 წლის I კვარტალი - 2027 წლის IV კვარტალი)**

## **მონიტორინგის ინდიკატორები**

### **სამუშაო ჯგუფის ფორმირება:**

#### **1. სამუშაო ჯგუფების შექმნა:**

- ინდიკატორი: ჯგუფი ჩამოყალიბებულია 2026 წლის I კვარტლის პირველი თვის განმავლობაში.
- წყარო: წევრობის ჩანაწერები და შეხვედრის ოქმები.

#### **2. სამოქმედო გეგმის შემუშავება:**

- ინდიკატორი: სამოქმედო გეგმა დასრულებული და დამტკიცებულია 2026 წლის II კვარტლამდე.
- წყარო: სამოქმედო გეგმის დოკუმენტაცია.

### **სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება:**

1. სატრენინგო მასალების შექმნა:

- ინდიკატორი: სატრენინგო მასალები შემუშავებული და პილოტირებულია მინიმუმ 2 უნივერსიტეტში 2026 წლის III კვარტლამდე.
- წყარო: მასალების ჟურნალები და საპილოტე ტესტის რეზიუმეები.

2. საპილოტე სესიებიდან უკუკავშირის შეგროვება:

- ინდიკატორი: უკუკავშირი შეგროვებულია მინიმუმ 30 მონაწილისგან თითოეულ სესიაზე 2026 წლის IV კვარტლამდე.
- წყარო: უკუკავშირის ფორმები.

**მიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მხარდაჭერა:**

1. თვითშეფასების ინსტრუმენტების გავრცელება:

- ინდიკატორი: ინსტრუმენტები გავრცელებულია სამიზნე უნივერსიტეტების სულ მცირე 60%-ზე 2027 წლის II კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: თვითშეფასების ინსტრუმენტების გავრცელების ელექტრონული ჟურნალი; უნივერსიტეტიდან მიღებული წერილობითი დადასტურებები ინსტრუმენტების მიღებისა და გამოყენების შესახებ.

2. მენტორობის სესიების ჩატარება:

- ინდიკატორი: სულ მცირე 10 მენტორობის სესია ჩატარებულია 2027 წლის III კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: მენტორობის სესიების დეტალური დღის წესრიგები; სესიების ჩატარების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა; მენტორებისა და მონაწილეების მიერ შევსებული სესიის შეფასების ფორმები; სესიების ჩატარების ელექტრონული ჟურნალი თარიღების, მონაწილეთა რაოდენობისა და განხილული თემების მითითებით.

**ფაზა II: უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა (2026 წლის I კვარტალი - 2027 წლის IV კვარტალი)**

**მონიტორინგის ინდიკატორები**

**სამუშაო ჯგუფის ფორმირება:**

1. სამუშაო ჯგუფების შექმნა:

- ინდიკატორი: ჯგუფი ჩამოყალიბებულია 2026 წლის I კვარტლის პირველი თვის განმავლობაში.
- წყარო: სამუშაო ჯგუფის წევრების ოფიციალური დანიშვნის დოკუმენტები; ჯგუფის პირველი შეხვედრის ოქმი წევრების სიითა და როლების განაწილებით.

2. სამოქმედო გეგმის შემუშავება:

- ინდიკატორი: სამოქმედო გეგმა დასრულებული და დამტკიცებულია 2026 წლის II კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: დამტკიცებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი განსაზღვრული მიზნებით, აქტივობებითა და ვადებით; გეგმის დამტკიცების შესახებ ოფიციალური ბრძანება ან ოქმი.

**სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება:**

1. სატრენინგო მასალების შექმნა:

- ინდიკატორი: სატრენინგო მასალები შემუშავებული და პილოტირებულია სულ მცირე 2 უნივერსიტეტში 2026 წლის III კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: შემუშავებული სატრენინგო მასალების სრული პაკეტი (სახელმძღვანელოები, პრეზენტაციები, სავარჯიშოები); პილოტირების ანგარიშები თითოეული უნივერსიტეტიდან დეტალური უკუკავშირით.

2. საპილოტე სესიებიდან უკუკავშირის შეგროვება:

- ინდიკატორი: უკუკავშირი შეგროვებულია სულ მცირე 30 მონაწილისგან თითოეულ სესიაზე 2026 წლის IV კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: შევსებული უკუკავშირის ფორმები თითოეული მონაწილისგან; უკუკავშირის ანალიზის ანგარიში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემებით.

## **მიდა ხარისხის უზრუნველყოფის (IQA) მექანიზმების მხარდაჭერა:**

### **1. თვითშეფასების ინსტრუმენტების გავრცელება:**

- ინდიკატორი: ინსტრუმენტები გავრცელებულია სამიზნე უნივერსიტეტების სულ მცირე 60%-ზე 2027 წლის II კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: თვითშეფასების ინსტრუმენტების გავრცელების ელექტრონული ჟურნალი; უნივერსიტეტიდან მიღებული წერილობითი დადასტურებები ინსტრუმენტების მიღებისა და გამოყენების შესახებ.

### **2. მენტორობის სესიების ჩატარება:**

- ინდიკატორი: სულ მცირე 10 მენტორობის სესია ჩატარებულია 2027 წლის III კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: მენტორობის სესიების დეტალური დღის წესრიგები; სესიების ჩატარების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა; მენტორებისა და მონაწილეების მიერ შევსებული სესიის შეფასების ფორმები.

## **ტრენინგ სესიები:**

### **1. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ტრენინგი:**

- ინდიკატორი: სულ მცირე 5 სესია ჩატარებულია 80% დასწრების მაჩვენებლით 2027 წლის IV კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: ტრენინგის მონაწილეთა სარეგისტრაციო ჟურნალები; ტრენინგის მასალები და პროგრამა; ტრენინგის შემდგომი შეფასების ფორმები.

### **2. მონაწილეების დადებითი უკუკავშირი:**

- ინდიკატორი: 80% დადებითი უკუკავშირის მაჩვენებელი ტრენინგის შემდგომი შეფასებების საფუძველზე 2027 წლის IV კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: ტრენინგის შემდგომი შეფასების დეტალური ანგარიში რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზით; მონაწილეთა ინდივიდუალური უკუკავშირის ფორმები.

## **ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება:**

### **1. კონსულტაციები სტრუქტურული ერთეულების განვითარებისთვის:**

- ინდიკატორი: 8 კონსულტაცია ჩატარებულია 2027 წლის I-III კვარტლების განმავლობაში.
- წყარო: კონსულტაციების ჩატარების გრაფიკი; კონსულტაციების ოქმები კონკრეტული რეკომენდაციებით; კონსულტაციების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმები.

### **2. საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების პლატფორმის გაშვება:**

- ინდიკატორი: პლატფორმა გაშვებულია და გამოიყენება სამიზნე უნივერსიტეტების 50%-ის მიერ 2027 წლის IV კვარტლის ბოლომდე.
- წყარო: პლატფორმის მომხმარებელთა რეგისტრაციის მონაცემები; პლატფორმაზე განთავსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების რაოდენობა და ხარისხი; პლატფორმის გამოყენების სტატისტიკა (ვიზიტები, კომენტარები, გაზიარებები).

## **შეფასების მეტრიკები:**

### **1. მოცვა: მხარდაჭერა გაწეულია უნივერსიტეტების სულ მცირე 60%-ისთვის.**

- წყარო: უნივერსიტეტების მონაწილეობის დეტალური აღრიცხვის ჟურნალი; მხარდაჭერის პროგრამებში ჩართული უნივერსიტეტების წერილობითი ანგარიშები.

### **2. ტრენინგის ეფექტურობა: 20%-იანი ზრდა ქულებში ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომ ტესტებს შორის.**

- წყარო: ტრენინგამდე და ტრენინგის შემდგომი ტესტების შედეგების შედარებით იანალიზი; მონაწილეთა ინდივიდუალური პროგრესის ანგარიშები.

### **3. ინსტიტუციური ჩართულობა: სამიზნე უნივერსიტეტების 75%-ის აქტიური მონაწილეობა.**

- წყარო: უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი ყოველკვარტალური ანგარიშები ჩართულობის შესახებ; პროექტის დონისძიებებში უნივერსიტეტების მონაწილეობის სტატისტიკა.

### მონიტორინგის მეთოდები:

1. პროგრესის ანგარიშები: ყოველთვიური პროგრესის ანგარიშები ძირითადი სამუშაო მაჩვენებლების (KPI) მონიტორინგით.
  - წყარო: სტანდარტიზებული ყოველთვიური ანგარიშების ფორმები შევსებული პროექტის გუნდის მიერ; KPI-ების მონიტორინგის ავტომატიზებული სისტემის მონაცემები.
2. ადგილზე ვიზიტები: ორთვიანი ვიზიტები საპილოტე უნივერსიტეტებში.
  - წყარო: ვიზიტების დეტალური გეგმები და ანგარიშები; ვიზიტების დროს შეგროვებული მტკიცებულებები (ფოტოები, ინტერვიუები, დოკუმენტები); ვიზიტის შემდგომი რეკომენდაციების შესრულების ანგარიშები.
3. გამოკითხვები: ინტერვენციამდე და ინტერვენციის შემდგომი გამოკითხვები.
  - წყარო: გამოკითხვის კითხვარები; გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზი; გამოკითხვის შედეგების საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

### შეფასების პერიოდულობა:

1. შუალედური შეფასება: ჩატარებულია 2026 წლის II კვარტალში I ფაზის შედეგების შესაფასებლად.
  - წყარო: შუალედური შეფასების ტექნიკური დავალება; შუალედური შეფასების ანგარიში რეკომენდაციებით; შუალედური შეფასების შედეგების პრეზენტაცია დაინტერესებული მხარეებისთვის.
2. საბოლოო შეფასება: ყოვლისმომცველი შეფასება 2028 წლის I კვარტლის ბოლომდე.
  - წყარო: საბოლოო შეფასების მეთოდოლოგია; შეფასების ანგარიში ძირითადი მიგნებებითა და რეკომენდაციებით; შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავებული სამომავლო სამოქმედო გეგმა.

### • პასუხისმგებელი პირები

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განისაზღვრება მონიტორინგისა და შეფასების პროცესზე პასუხისმგებელ უწყებათა და პირთა ნუსხა. დაინიშნება **მონიტორინგისა და შეფასების კოორდინატორი**, რომელიც უზრუნველყოფს მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ზედამხედველობას, განხორციელების სტრატეგიასთან და საკომუნიკაციო აქტივობებთან შესაბამისობას და მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშის წარდგენას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. **მონაცემთა ანალიტიკოსები**, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან როგორც ხარისხის სტანდარტების უწყვეტობასთან, ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მეტრიკებთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებასა და ანალიზზე.



**განტის დიაგრამა: 2025 - 2028 განხორციელების გრაფიკი**

აქტივობა	Q1 2025	Q2 2025	Q3 2025	Q4 2025	Q1 2026	Q2 2026	Q3 2026	Q4 2026	Q1 2027	Q2 2027	Q3 2027	Q4 2027	Q1 2028
<b>I ფაზა: HAKA</b>													
<b>სტანდარტების ადაპტაცია</b>													
HAKA მოდელის დეტალურად შესწავლა	X	X											
შედარებითი ანალიზი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება			X	X									
სამუშაო დოკუმენტის შემუშავება				X	X	X							
კონსულტაციები და ინტერესებულ მხარეებთან				X	X	X							
სტანდარტების საბოლოო დამტკიცება								X					
<b>II ფაზა: უნივერსიტეტების მხარდაჭერა</b>													
სამუშაო ჯგუფის შექმნა								X					
სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება								X	X				
ტრენინგ-სესიების ჩატარება									X	X	X	X	
<b>III ფაზა: ცნობიერების ამაღლება და ადვოკატირება</b>													
საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება					X								
ადვოკატირების კამპანიის განხორციელება						X	X	X					
<b>IV ფაზა: შეფასება და მონიტორინგი</b>													
მონიტორინგი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
შეფასება							X						X

• უპირატეს ალტერნატივასთან დაკავშირებული რისკები და მოულოდნელი შედეგების აცილების გეგმა ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამების ესტონური ხარისხის სტანდარტების დანერგვის პროცესს შესაძლოა ახლდეს რამდენიმე რისკი და შეზღუდვა, რომლებიც უკავშირდება საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის კულტურულ, ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ თავისებურებებს.

მოულოდნელი შედეგების თავიდან აცილების გეგმის სტრუქტურა მიჰყვება იმპლემენტაციის გეგმის ოთხ ფაზას და უზრუნველყოფს, რომ თითოეული ფაზისთვის იდენტიფიცირებული იყოს სპეციფიკური რისკები და მათი შემცირების შესაბამისი სტრატეგიები. ეს მიდგომა ხელს უწყობს უფრო ფოკუსირებულ და ეფექტურ რისკების მართვას პროექტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში.

## ფაზა (I). ესტონეთის HAKA ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მოდელის ადაპტაცია

**რისკი:** HAKA მოდელის არასათანადო ინტერპრეტაცია ან ქართულ კონტექსტთან არაადაპტური ადაპტაცია.

**რისკის შემცირების აქტივობა:** HAKA მოდელის ყოვლისმომცველი ანალიზის ჩატარება, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებზე, სტანდარტებსა და შეფასების მეთოდოლოგიაზე; საქართველოს არსებულ პრაქტიკასთან დეტალური შედარებითი ანალიზის განხორციელება, ხარვეზებისა და შესაძლო ადაპტაციის სფეროების იდენტიფიცირებით; ესტონელ ექსპერტებთან და დაწესებულებებთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, გამოცდილების გაზიარებისა და პოტენციური გამოწვევების წინასწარ განჭვრეტის მიზნით; სამუშაო დოკუმენტის შემუშავების პროცესში ფართო სპექტრის ექსპერტების ჩართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას მრავალმხრივი პერსპექტივა.

## ფაზა (II). უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების სტანდარტების დანერგვის მხარდაჭერა

**რისკი:** უნივერსიტეტების არასაკმარისი მზაობა და რესურსები ახალი სტანდარტების დასანერგად.

**რისკის შემცირების აქტივობები:** დეტალური სახელმძღვანელო პრინციპებისა და ინსტრუმენტების შემუშავება უნივერსიტეტებისთვის ელექტრონული სწავლების პროგრამების თვითშეფასებისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარებისთვის; მიზნობრივი ტრენინგ-პროგრამების ორგანიზება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, ფოკუსირებით ელექტრონული სწავლების მეთოდოლოგიებსა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე; უნივერსიტეტებისთვის კონსულტაციების გაწევა სპეციალიზებული სტრუქტურული ერთეულების შექმნის ან არსებული ერთეულების გაძლიერების მიზნით; საპილოტე (უფასო) სააკრედიტაციო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობით, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებას; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობის შესწავლა, მათ შორის კერძო სექტორის სუბიექტებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ დაფინანსება, რესურსები და ექსპერტიზა ელექტრონული სწავლების ინიციატივების მხარდასაჭერად.

## (III). ცნობიერების ამაღლების და ადვოკატირების კამპანიები

**რისკი:** დაინტერესებული მხარეების არასაკმარისი ინფორმირებულობა და მხარდაჭერა ახალი სტანდარტების მიმართ.

**რისკის შემცირების აქტივობები:** ყოვლისმომცველი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მორგებული იქნება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე (უნივერსიტეტების ხელმძღვანელობა, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები, განათლების ესპერტები); მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენება (მაგ., ვორქშოპები, ვებინარები, სოციალური მედია) სხვადასხვა აუდიტორიის ეფექტურად მისაღწევად; ინტერაქტიული დონისძიებების ორგანიზება დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გასაზრდელად, მათ შორის პანელური დისკუსიებისა და ღია კარის დღეების (ფიზიკური/ვირტუალური) მოწყობა; უკუკავშირის მექანიზმების დანერგვა, როგორცაა ონლაინ გამოკითხვები და ფოკუს ჯგუფები, დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების სისტემატური შეგროვებისა და ანალიზისთვის.

#### **(IV) სტანდარტების დანერგვის პერიოდული მონიტორინგი**

**რისკი:** სტანდარტების დანერგვის არათანმიმდევრულობა და ხარვეზების გამოვლენის შეფერხება

**რისკის შემცირების აქტივობები:** დეტალური მონიტორინგის გეგმის შემუშავება თითოეული უნივერსიტეტისთვის, მკაფიო შეფასების კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განსაზღვრით; რეგულარული შეფასებების ჩატარება, რომელიც მოიცავს დოკუმენტაციის ანალიზს, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის შეფასებას და სასწავლო პროცესზე დაკვირვებას; პერიოდული ანგარიშების მომზადება და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება თითოეული უნივერსიტეტისთვის; შედეგების გამჭვირვალე გავრცელება, მათ შორის ყოველწლიური ანგარიშის მომზადება და საჯარო პრეზენტაცია დაინტერესებულ მხარეებთან; მონიტორინგის პროცესის მუდმივი გაუმჯობესება უნივერსიტეტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე და მეთოდოლოგიის პერიოდული გადახედვა.

- ლეჟავა, დ. (2021, თებერვალი 28). ონლაინ სწავლება და უმაღლესი განათლება. Retrieved from სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბლოგი: <http://css.ge/?p=1516&lang=ka>
- საქართველოს პარლამენტი . (2024, სექტემბერი 5). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=113>
- საქართველოს პარლამენტი. (2011, თებერვალი 22). საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=21>
- პლენარული სხდომები. (2024 , ივნისი 27). პარლამენტმა „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო . Retrieved from საქართველოს პარლამენტი: <https://www.parliament.ge/print/news/parlamentma-umaghlesi-ganatilebis-shesakheb-kanonshi-tsvlilebebi-mesame-mosmenit-miigho-1>
- მელიქიძე, მ. (2021, ივლისი 30). საუნივერსიტეტო კონფერენცია: საქართველოს განათლების სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია Covid-19-ის პირობებში. Retrieved from ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: <https://tsu.ge/assets/media/files/7/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%A5.2021.pdf>
- ევროპული სასწავლო ფონდი . (2020). ციფრული უნარები და ონლაინ სწავლება საქართველოში. Retrieved from ციფრული ფაქტის ფურცელი : [https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2020-09/digital\\_factsheet\\_georgia\\_ka.pdf](https://www.etf.europa.eu/sites/default/files/2020-09/digital_factsheet_georgia_ka.pdf)
- კიკორია, გ., გაჩეჩილაძე, ს., & პატარიძე, ე. (2019, #2, გვ. 209-2020). დისტანციური განათლება და ელექტრონული სწავლება საქართველოში. Retrieved from ეკონომიკა და ბიზნესი: <https://dSPACE.tsu.ge/server/api/core/bitstreams/199ddfa0-a190-47d0-b9b9-87c9fd4a245b/content>
- სარიშვილი, ს. (2016, ნოემბერი 22). რა ეტაპზეა ელექტრონული სწავლება საქართველოში . Retrieved from edu.aris.ge: <https://edu.aris.ge/news/ra-etapzea-eleqtronuli-swavleba-saqartveloshi.html>
- Valishvili, T., Genelidze, L., & Balanchivadze, I. (2020, #20). THE CHALLENGES FACING THE EDUCATION SYSTEM INTO PANDEMIC CONDITIONS AND WAYS TO SOLVE THEM – GEORGIAN EXPERIENCE. Retrieved from Economic Profile: <http://www.economicprofile.org/pdf/cdd5ae8fa1ed64e6f3375511b7b88d0f.pdf>
- გოგობია, ს. (2013). E-learning – თანამედროვე სწავლების მეთოდი საქართველოში . Retrieved from edu.aris.ge: <https://edu.aris.ge/news/e-learning-tanamedrove-swavlebis-metodi-saqartveloshi.html>
- Dakhundaridze, N. (2012, February 21). Digital Literacy & Citizen Centers Bringing Modernity to the Georgian Regions with the Support of the German Development Cooperation. Retrieved from Georgia Today: <https://georgiatoday.ge/digital-literacy-centers-bringing-modernity-to-the-georgian-regions-with-the-support-of-the-german-development-cooperation/>
- Istrate, D. (2019, June 20). Georgian education receives 90 million-euro World Bank boost. Retrieved from Emerging Europe: <https://emerging-europe.com/analysis/georgian-education-in-90-million-euro-world-bank-boost/>
- USAID Bureau for Europe and Eurasia. (2020, November 30). Georgian Education System Taking Important Steps Forward with USAID Support . Retrieved from USAID: <https://2017-2020.usaid.gov/georgia/news-information/news/georgian-education-system-taking-important-steps-forward-usaid-support>

- Georgia Today. (2022, October 27). Transformative Human Capital Program Launched in Georgia, with World Bank and AFD Support. Retrieved from Georgia Today: <https://georgiatoday.ge/transformative-human-capital-program-launched-in-georgia-with-world-bank-and-afd-support/#:~:text=Support%20%2D%20Georgia%20Today-,Transformative%20Human%20Capital%20Program%20Launched%20in%20Georgia,World%20Bank%20and%20AFD%20Supp>
- European Commission. (2020, January). Erasmus+ for higher education in Georgia. Retrieved from European Commission: [https://ec.europa.eu/assets/eac/erasmus-plus/factsheets/neighbourhood/georgia\\_erasmusplus\\_2019.pdf](https://ec.europa.eu/assets/eac/erasmus-plus/factsheets/neighbourhood/georgia_erasmusplus_2019.pdf)
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2020, მაისი 11). მიხეილ ჩხენკელი: „პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები და ვდელიეთ და ეს სემესტრი შედგა“ . Retrieved from <https://www.mes.gov.ge/content.php?id=10320&lang=geo>
- საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. (2020). რჩევები ინსტიტუციებისათვის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით . Retrieved from საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებ.გვერდი: <https://eqe.ge/ka/page/static/903/rchevebi-institutsiebisatvis-elektronuli-stsavlebis-khariskhis-uzrunvelqofastan-dakavshirebit>
- საქართველოს განათლების, ახალგაზრდობისა და მეცნიერების სამინისტრო. (2020ა, მაისი 11). მიხეილ ჩხენკელი: „პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები და ვდელიეთ და ეს სემესტრი შედგა“ . Retrieved from საქართველოს განათლების, ახალგაზრდობისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალური ვებ.გვერდი: <https://www.mes.gov.ge/content.php?id=10320&lang=geo>
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2020ბ, მაისი 15). უნივერსიტეტები დისტანციური სწავლების უკეთ წარმართვის მიზნით სხვადასხვა აპლიკაციებსა და ონლაინ პლატფორმებს იყენებენ. Retrieved from საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებ.გვერდი: <https://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=10329>
- კროზიერი, ფ., & გრეერი, ა. (2020, ნოემბერი 30). ონლაინ და/ან შერეული სწავლისა და სწავლების შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები. Retrieved from საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ოფიციალური ვებ.გვერდი: <https://eqe.ge/res/docs/%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%20%E1%83%93%E1%83%90%28%E1%83%90%E1%83%9C%29%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1>
- ENQA. (2020 , August 5). NCEQE (Georgia) launches call for international experts . Retrieved from ENQA official web site: <https://www.enqa.eu/news/nceqe-georgia-launches-call-for-international-experts/>
- Nakashidze-Makharadze, T., Makaradze, N., & Gurgenidze, M. (2020, <https://library.iated.org/view/NAKASHIDZEMAKHARADZE2020DIS>). DISTANCE LEARNING – A CHALLENGE FOR GEORGIAN HIGHER EDUCATIONAL INSTITUTIONS . Retrieved from 13th annual International Conference of Education, Research and Innovation: doi: 10.21125/iceri.2020.1377
- Kakutia, T., & Kokrashvili, K. (2023). Georgian Higher Education Policy and E-Learning Challenges . Retrieved from International Journal of Innovative Technologies in Social Science. 2(38): [https://doi.org/10.31435/rsglobal\\_ijitss/30062023/7984](https://doi.org/10.31435/rsglobal_ijitss/30062023/7984)
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. (2024, აგვისტო 31). საქართველოს განათლების სისტემაში პირველად დამტკიცდა უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების განხორციელების წესი . Retrieved from საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებ.გვერდი: <https://mes.gov.ge/content.php?id=13854&lang=geo>

- საქართველოს მინისტრის ბრძანება . (2024 , აგვისტო 30). საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება № 142/ბ. Retrieved from საქართველოს საკანონმდებლო მაცნე: [https://matsne.gov.ge/ka/document/view/6261076?publication=0&fbclid=IwZXh0bG9hZWMTEAAR2msMofLOR6fyckJBEiN5y4PMNqmvnDpCTT-H5B3Ss-kmg0jOlteeh9288\\_aem\\_1V9KyQ-0P0iF1SiOc1w91w](https://matsne.gov.ge/ka/document/view/6261076?publication=0&fbclid=IwZXh0bG9hZWMTEAAR2msMofLOR6fyckJBEiN5y4PMNqmvnDpCTT-H5B3Ss-kmg0jOlteeh9288_aem_1V9KyQ-0P0iF1SiOc1w91w)
- Official Journal of the European Union . (2014, 30 August). Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part . Retrieved from Eur-Lex: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A22014A0830%2802%29>
- Huertas, E., Biscan, I., Ejsing, C., Kerber, L., Kozłowska, L., Ortega, S. M., . . . Seppmann, G. (2018). Considerations for quality assurance of e-learning provision. Retrieved from ENQA: <https://www.enqa.eu/wp-content/uploads/Considerations-for-QA-of-e-learning-provision.pdf>
- Education Estonia. (2020, May 21). Estonia #1 in Europe for digital learning . Retrieved from <https://www.educationestonia.org/estonia-no-1-in-europe-for-digital-learning/>
- HAKA. (2024). Digital Education Quality Label . Retrieved from <https://haka.ee/en/quality-label/>
- HAKA. (2024). Digital Education Quality Label . Retrieved from <https://haka.ee/en/quality-label/>
- Himma-Kadakas, M., & Kõuts-Klemm, R. (2023, July 11). Developing an Advanced Digital Society: An Estonian Case Study . Retrieved from Springer Link: [https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-32507-6\\_6](https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-32507-6_6)
- Froumin, I., Huisman, J., & Smolentseva, A. (2018). 25 Years of Transformations of Higher Education Systems in Post-Soviet Countries : Reform and Continuity . Retrieved from Library of Congress: <https://www.loc.gov/item/2019745784/>
- World Bank Group. (2021, August 31). Building Human Capital : Lessons from Country Experiences - Ireland : Ireland's Human Capital : The Contribution of Education and Skills Development to Economic Transformation. Retrieved from World Bank Group: <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/901301631603793035/ireland-s-human-capital-the-contribution-of-education-and-skills-development-to-economic-transformation>
- QQI. (2020). The Impact of COVID-19 Modifications to Teaching, Learning and Assessment in Irish Further Education and Training and Higher Education. Retrieved from A QQI Evaluation: <https://www.qqi.ie/sites/default/files/2022-04/the-impact-of-covid-19-modifications-to-teaching-learning-and-assessment-in-irish-further-education-and-training-and-higher-education.pdf>
- Trinity College Dublin. (2024). Online Postgraduate Courses. Retrieved from <https://www.tcd.ie/onlineeducation/>
- University College Dublin . (2024). UCD Online. Retrieved from <https://www.ucd.ie/online/>
- CARNET. (2024). About Carnet. Retrieved from <https://www.carnet.hr/en/about-carnet/>
- Softić, S. K. (2015, September 23). Open Education Croatia . Retrieved from Open Education Working Group: <https://education.okfn.org/open-education-croatia/index.html>
- SRCE. (2023). Supporting digital education . Retrieved from <https://www.srce.unizg.hr/en/elc>
- Eurydice Unit Croatia. (2023). Croatia: New Act on Higher Education and Scientific Activity . Retrieved from Eurydice : <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/news/croatia-new-act-higher-education-and-scientific-activity>
- Eurydice. (2024, September 13). National reforms in higher education. Retrieved from European Commission official website: <https://eurydice.eacea.ec.europa.eu/national-education-systems/croatia/national-reforms-higher-education>
- ENQA. (2021). ASHE • Agency for Science and Higher Education . Retrieved from <https://www.enqa.eu/membership-database/ashe-agency-for-science-and-higher-education/>
- Delaney, A., Komljenovic, J., Volkova, T., & Solak, D. (2023, June 28). ENQA TARGETED REVIEW SLOVENIAN QUALITY ASSURANCE AGENCY FOR HIGHER EDUCATION (SQAA). Retrieved from <https://www.nakvis.si/wp-content/uploads/2023/07/SQAA-external-review-report-2023.pdf>

- ICDL. (2024, January 22). The Digital Economy and Society Index 2022 has been released . Retrieved from <https://icdl.org/the-digital-economy-and-society-index-2022-has-been-released-2/>
- Republic of Slovenia; Ministry of Digital Transformation . (2023, March). Digital Slovenia 2030 Strategy . Retrieved from National Interoperability Framework: <https://nio.gov.si/en/products/strategija%2Bdigitalna%2Bslovenija%2B20300>
- Digital National Coalition . (2022). Retrieved from Digital Alliance: <https://digitalalliance.bg/skills-intelligence/desi-slovenia-ranks-11st-out-of-27-eu-member-states/>
- ENQA; ESU; EUA; EURASHE. (2015). უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ESG 2015. Retrieved from [http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG\\_2015.pdf](http://erasmusplus.org.ge/files/files/ESG_2015.pdf)
- HEDBJÖRK, U., PELIK, R., JOÃO ROSA, M., & ZAMFIR, S. (2024, May 31). ENQA TARGETED REVIEW QUALITY AND QUALIFICATIONS IRELAND (QQI). Retrieved from ENQA: [https://www.enqa.eu/wp-content/uploads/QQI-targeted-review-report\\_030624.pdf](https://www.enqa.eu/wp-content/uploads/QQI-targeted-review-report_030624.pdf)
- QQI. (2023). GUIDELINES FOR PROVIDERS OF BLENDED AND FULLY ONLINE LEARNING PROGRAMMES . Retrieved from <https://www.qqi.ie/sites/default/files/2023-10/statutory-qa-guidelines-for-providers-of-blended-and-online-programmes-2023.pdf>
- HAKA. (2023). E-course self-evaluation criteria . Retrieved from [https://haka.ee/wp-content/uploads/Self-evaluation-criteria-2023\\_2024.pdf](https://haka.ee/wp-content/uploads/Self-evaluation-criteria-2023_2024.pdf)
- Nacionalno vijeće za znanost, visoko obrazovanje i tehnološki razvoj. (2016). Kriteriji i postupci za vrednovanje online studija [ონლაინ სწავლების პროგრამების შეფასების კრიტერიუმები და პროცედურები]. Retrieved from <https://www.nvzvotr.hr/images/documents/Kriteriji%C2%A0i%20postupci%20za%20vrednovanje%20online%20studija.pdf>
- Quality Assessment Council for Higher Education of the Estonian Quality Agency for Education. (2022, June 14). Guidelines for Institutional Accreditation. Retrieved from [https://haka.ee/wp-content/uploads/IA\\_Guidelines.pdf](https://haka.ee/wp-content/uploads/IA_Guidelines.pdf)
- OECD. (2023). A Companion to Digital Education Outlook 2023:Country Digital Education Ecosystems and Governance. Retrieved from <https://doi.org/10.1787/906134d4-en>